


# ნატარალური

140  
2002/2

6





# ბაზილიკის ტაძარი

ნ. მარინია

როცა ცკბილ-მწარე ფიქრებით  
გულს მომედება ხანძარი,  
ქუთაისს უნდა ვენვიო -  
ვნახო ზაგრაფის ტაძარი.

ოდესღაც აქაუ სწირავდნენ  
გელათელი და ხანძთელი,  
დღეს აქ დუმილი სუფევს და  
არსად რიმერიმებს სანთელიურ.

ეჰ, რა გზა გამოგვივლია  
ხან მშვიდობით და ხან ომით!  
სავსეა ჩვენი წარსული  
ღარემითა და აღდგომით.

ზედი ხან უღვთოდ გვქელავდა,  
ხან ურებ აგვალექსენდა.  
წინაპრის ძვლები მინაში  
გაღმულა მუხის ფესვენად.

და რაუ დღეს ხდენა, ამაზე  
მეტი რით გავიხარებდი -  
ისევ გუგუნებს ქართული  
ეკლესიების ზარები!

ჩემო წინაპრის ნათელო,  
სულმოუთქმელად მოგელი -  
კვლავ მასმენინე ზაგრაფში  
ქართული საგალობელი!

# ნაკადული



საყვანვილო ჟურნალი

2002 წ. №6

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ .....	2
სკოლა, სახელად „სინათლე“ .....	3
ვლ. ასლამაზიშვილი – „რქაწითელის აკიდოები“ (მოთხრობა) .....	6
სიტყვა სამეგობროს გამოკლებულ ელისო ძიგრაშვილზე .....	7
თამაზ ჯიშკარიანი. ანა ჯოჯუა (იცნობდეთ!) .....	8
მსოფლიო კიდით კიდემდე .....	9
„ოდოშხერი“ .....	10,22,25
იაზროვნეთ თიხით ხელში .....	11
ჩინური ძაღლი შარ-პეი (კითხვა – თქვენი, პასუხი – ჩვენი) .....	12
პატარძეული (ლიტერატურული გეოგრაფია) .....	13
ტესტი .....	15
ჩვენი გამარჯვებულები .....	16
მარკ ტვენი – „საბედისწერო ბურთულა“ (მოთხრობა) .....	18
რატომ ვამბობთ ასე? სიტყვის კონა .....	23
ძველი რომი. 44 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე (წარმოიდგინე...) .....	24
მეტის მეტი, რეტის რეტი (რჩევები გოგონებს) .....	28
წაუკითხე უმცროს და-ძმას .....	29
ჟაკოს და მაკოს საინფორმაციო სააგენტო .....	30
რეტროვიზორი .....	31
სიცილის გაკვეთილი .....	32

## რედაქტორი მანანა ბელაშვილი


მისამართი: 380008, თბილისი კოსტავას ძ. 14

ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.

ინდექსი: 76157.

ფასი სახელმწიფოებრივად

რეგისტრირებულია მთავრობის რაიონის სასამართლოში



# ფაქტი



## „ნაკადულის“ საინფორმაციო სააბენტო

### ჭაბუკ ფინიკოსთა

#### წარმატება

წარმატებას მიაღწია ინდონეზიაში გამართულ ფინიკის 33-ე ოლიმპიადანზე ჩვენი ქვეყნის სუთმა წარგზავნილმა. საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ლიცეუმის მეთერთმეტეკლასელებმა სერგეი აბირიანმა და ალექსი ბიჯამოვმა ოქროს მედლები მოიპოვეს, გიგა ჩქარუელმა და ალექსი კარამიანმა – ვერცხლის ივანე ჯორჯაძემ კი – ბრინჯაოსი. ოლიმპიადის სუთმე გამარჯვებული მისაღები გამოცდების გარეშე, ავტომატურად ჩაირიცხა საქართველოს და რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

### ახალი გიმნაზია

#### რუსული კლასიკით

გორში გაიხსნა სკოლა-გიმნაზია, რომელშიც ქართულთან ერთად რუსული კლასებიც იქნება. ახალი გიმნაზიის რუსულენოვანი მოსწავლეები სახელმძღვანელოებით საქართველოში რუსეთის საელჩომ მოამარაგა. საელჩოს თანამშრომელთა განცხადებით, ისინი მალე ქართულ კლასებსაც უზრუნველყოფენ რუსული ენის სახელმძღვანელოებით.

### გაიხსნა კარაჩისკული

#### სახელოსნო

საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორის“ ფინანსური დახმარებით სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა ასოციაციამ გლდანის №2 დამხმარე სკოლა-ინტერნატის უფროსკლასელებისათვის კერამიკული სახელოსნო გაიხსნა. ამ პროექტის ავტორთა რწმე-

ნით, თიხაზე მუშაობა ხელს შეუწყობს ბავშვების გონებრივი და ფიზიკური შეზღუდულობის კორექციას, ხოლო კერამიკოსის პროფესია მომავალში ბევრი მათგანისათვის საარსებო წყაროც იქნება. დღეს კი პატარა კერამიკოსებს საშუალება აქვთ გამოიყენონ-გაიყიდონ გაიტანონ საკუთარი ნახელავი:

### სახელმძღვანელოები

#### ქირაში

სახელმძღვანელოების გაქირავების ოთხწლიანი ექსპერიმენტი, რომელიც შარშან საქართველოს 33 სკოლაში ჩატარდა, წელსაც გაგრძელდება.

ექსპერიმენტის არსი შემდეგში მდგომარეობს: ყოველ წელს სახელმძღვანელოს ქირაობისათვის შმობელი იხდის სახელმძღვანელოს ღირებულების 25 პროცენტს. წიგნები ოთხი წელი სასკოლო ბიბლიოთეკაში რჩება, მერე კი ახლებით იცვლება. სახელმძღვანელოების გაქირავებიდან შემოსული თანხები განათლების სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე იყრის თავს, მერე კი ახალი სახელმძღვანელოების სახით უბრუნდება სკოლას.

### გვიმნება სკოლის

#### თვითმმართველობის

#### საკუთარი მოდელი

სულ მალე ქართველი სპეციალისტები მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პარვარდის სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შეუდგებიან მუშაობას სკოლის თვითმმართველობის მოდელის შესაქმნელად. ეს იქნება ჩვენი, საქართველოს სინამდვილესა და თა-

ვისებურებებზე აგებული მოდელი, რომელიც პირველ რიგში სწავლის ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

### ერთმანეთისაკენ

#### გადაღმებული ნახიჯი

10 დღის განმავლობაში მასპინძლობდა ბათუმი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ახალგაზრდულ ბანაკს „ტოლერანტობა და სოციალური რეაბილიტაცია სპორტის მეშვეობით“. 14-17 წლის მოზარდებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ერთმანეთის კულტურას, ისტორიას, მოესმინათ ლექციები სპორტულ და ოლიმპიურ თემატიკაზე. რაც მთავარია, ეს ათდღიანი შეკრება კავკასიელ ხალხთა ახალგაზრდა წარმომადგენლებს ერთმანეთისაკენ ნაბიჯის გადადგმაში დაეხმარა. საქართველოს ზღვისპირა ქალაქში დამეგობრებული მოზარდები უთუოდ იტყვიან თავის სიტყვას მშვიდობიანი თანაარსებობის საქმეში.

### კარაჩისტები

#### მსოფლიოს თასით

#### დაბრუნდნენ

ბრწყინვალედ დასპარეზა 17 წლამდე ასაკის კარაჩისტთა ნაკრებმა გერმანიის ქალაქ ლიუბეკში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში. ჩვენმა გუნდმა ლევან გორელაშვილის, ირაკლი ტყეშქაშაძის, დავით აბრამიშვილის და დავით ტყეშქაშაძის შემადგენლობით მსოფლიო თასი მოიპოვა. პირად პირველობაში თავი ისახელეს დავით აბრამიშვილმა და დავით ტყეშქაშაძემ, რომლებმაც თავ-თავის ასაკში ოქროს მედლები დაიმსახურეს.

# სკოლა, სახელად „სინათლე“



წარმოგიდგინთ გორის არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „სინათლის“ დირექტორის ქალბატონ თამარ უთნელიშვილს

დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკის მასწავლებლის სპეციალობით. მუშაობდა ქაღალის ჰიონეხთა და მოსწავლეთა სასახლეში მათემატიკის წიხის ხელმძღვანელად, №12 საშუალო სკოლაში მასობრივი მუშაობის ორგანიზატორად, გორის განათლების განყოფილების მეთოდისტად. ჰყავს სამი შვილი

გორის არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „სინათლე“ 1995 წელს გაიხსნა. მაშინ იგი ამ ტიპის პირველი კერძო სასწავლებელი იყო მთელ ქალაქში და მშობლები, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით უყურებდნენ. უთუოდ ამის გამო იყო, რომ „სინათლისათვის“ პირველ სასწავლო წელს მისი ზღურბლი მხოლოდ 18 ბავშვმა გადააბიჯა. დღეს კი აქ 16 ფინანსურ ჯგუფში 200-მდე მოსწავლეა და რომ არა შესაბამისი მატერიალური ბაზის უქონლობა, ეს რიცხვი სულ მცირე, გაორმაგდებოდა მაინც.



იდეაში სკოლის განვითარებაც იყო ჩადებული, დროთა განმავლობაში ყველაფერი დაიხვეწა, ჩამოიქნა და სკოლის თვითმყოფადი სახეც გამოიკვეთა. დღეს ეს თანამედროვე ტიპის სასწავლებელია, რომელსაც მიზნად მოსწავლეებისათვის საფუძვლიანი განათლების მიცემა, მათთვის მამულის მოვლის გრძობის, ენის დაცვა-გაფართოების მოთხოვნის, რწმენის ერთგულების, ერისშვილის მოვალეობათა ჩანერგვა აქვს დასახული.

როგორც წესი, „სინათლეში“ განცხადებებს შეუზღუდავი რაოდენობით იღებენ, თუმცა მოსწავლეთა

20576



კერძო სკოლის დაფუძნება რომ განიზრახა, ქალბატონი თამარ უთნელიშვილი ერთ მთავარ მიზანს ისახავდა – ისეთი ატმოსფერო შეექმნა სკოლაში, რომ მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც შემოქმედების ფართო ასპარეზი მისცემოდათ. საკუთარმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ და დროის მოთხოვნებმა უკარნახეს, რომ სასურველ შედეგს მხოლოდ მუშაობის ის სტილი მოიტანდა, როცა ყველანი – მოსწავლეს, მასწავლებელიც და დირექტორიც – თანამოაზრეთა ერთსულოვან კო-



ლექტივად გაერთიანდებოდნენ და ასე ივლიდნენ მიზნისაკენ. მცირედით დაიწყეს, ბევრი რამ ბოლომდე არ იყო გარკვეული, რაღაც სათუო ჩანდა, მაგრამ ვინაიდან

კონტინგენტს გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე აკომპლექტებენ. მომავალ პირველკლასელებს მხოლოდ ასაკის შესაბამისი გონებრივი განვითარების დონე მოეთხოვებათ, დანარჩენებმა კი გონებრივ განვითარებასთან ერთად ცოდნის გარკვეული დონე და „სინათლეში“ სწავლისათვის ფსიქოლოგიური მზადყოფნაც უნდა გამოამჟღავნონ. ყოველივე ეს ტესტირების გზით მოწმდება, ხოლო საბოლოო სიტყვას სკოლაში ბავშვის მიღება-არმიღების გადაწყვეტილების გამოტ-

სამართლებლო  
პროცესული

ნისას დირექტორი და უშუალოდ იმ კლასის ხელმძღვანელი ამბობენ, რომელშიც ბავშვი უნდა ჩაირიცხოს. ამგვარი შემოწმება-გასაუბრება იმისათვის არის საჭირო, რათა ამა თუ იმ კლასში გონებრივი განვითარებისა და ცოდნის დაახლოებით ერთი დონის ბავშვებმა მოიყარონ თავი, ეს კი მუშაობასაც აადვილებს და მის შედეგიანობასაც ზრდის. ამ პრინციპის დაცვა თითქმის ყველასათვის უპრობლემოდ ხერხდება, წინააღმდეგობა მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებით იჩენს ხოლმე თავს. საქმის არის, რომ „სინათლეში“ ერთ-ერთი მთავარი აქცენტი უცხო ენების – ინგლისურისა და რუსულის სწავლაზეა გადატანილი და ორივე ამ ენას აქ გაძლიერებულად სწავლობენ. ცხადია, სხვა სკოლებიდან გადმოსულებს უჭირთ, მაგრამ ასეთებისათვის შექმნილია სპეციალური ჯგუფი, სადაც ისინი



პროცესს. მასწავლებლის მიერ ახალი მასალის ასწავლითელი კლასი მონაწილეობს და მოსწავლეებზე უმწველად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აქვე, გაკვეთილზევე სწავლობენ იმას, რაც სვალ უნდა ჩააბარონ მასწავლებელს და შინ მარტო გამეორება, ერთი თვალის გადავლება სჭირდებათ. გარდა ამისა, სასწავლო პროცესი საგნობრივი თუ თემატური კონფერსებისა და ვიქტორინების, დისკუტებისა და მრავალი სხვა შემეცნებით-გასართობი ღონისძიების ფონზე მიმდინარეობს. მასწავლებლისათვის მინიჭებული თავისუფლება, შეუბოძავად თავისი ინდივიდუალური გეგმით, პროგრამით, საკუთარი შესხედულებების საფუძველზე წარმართოს მუშაობა, დადებით შედეგს იძლევა და ამიტომაც ახალისებს „სინათლის“ დირექტორი ამა თუ იმ მასწავლებლის ყოველ ახალ იდეას, წინადადებას, ფანტაზიას. ნდობით



კი, იგი ყველა მათგანს ენდობა, იმიტომ, რომ მათი ცოდნის, პროფესიონალიზმისა და საქმის სიყვარულიდან გამომდინარე მიიწვია ისინი. სულ მალე შეიკვრნენ ერთსულოვან კოლექტივად მერი მარგველაშვილი, იზა ბეგიაშვილი, მანანა ყორანაშვილი, ვალია ლომარი, თამარ ჩრდილელი, მედეა ჩადუნელი, ნუნუ ონიაშვილი, მარიკა შერაზადაშვილი, ლეილა ჯანაშვილი, ლედი ჟღენტა, ანზორ



დაჩქარებული პროგრამით გადიან ინგლისურს და ამის შემდეგლა უერთდებიან დანარჩენებს. „სინათლეში“, ისწავლება ყველა საგანი, რაც საერთოდ საქართველოს საშუალო საფეხურის სასწავლო დაწესებულებებში. ოღონდ აქ მოსწავლე-მასწავლებლების სრული ურთიერთგაგებისა და პარტნიორობის საფუძველზე აგებული მათი ურთიერთობა ბევრად უფრო სახალისოს ხდის მთელ სასწავლო



დაჩქარებული პროგრამით გადიან ინგლისურს და ამის შემდეგლა უერთდებიან დანარჩენებს. „სინათლეში“, ისწავლება ყველა საგანი, რაც საერთოდ საქართველოს საშუალო საფეხურის სასწავლო დაწესებულებებში. ოღონდ აქ მოსწავლე-მასწავლებლების სრული ურთიერთგაგებისა და პარტნიორობის საფუძველზე აგებული მათი ურთიერთობა ბევრად უფრო სახალისოს ხდის მთელ სასწავლო

კუპრაძე და სხვები („სინათლის“ ყველა პედაგოგი უმაღლესი ან პირველი კატეგორიის მასწავლებელია). მასწავლებლები მშობლების წინაშე არიან ანგარიშვალდებულები. რადგან მშობელს შენთან, შენს სკოლაში მოჰყავს თავისი შვილი, განდობს მის აღზრდა-განათლებას და ამისათვის ფულსაც იხდის, მას სრული უფლება აქვს იცოდეს, როგორ



ასწავლიან და როგორ ზრდიან მას, — მიაჩნიათ „სინათლეში“ და ამიტომაც ეძლევათ მშობლებს უფლება დაესწრონ გაკვეთილებს. სკოლაში ტრადიციულად იქცა „შაბათის შეხვედრები“, რომლებსაც შემეცნებით ხასიათთან ერთად გართობის ელემენტებიც ახლავს ხოლმე. თუ მოსწავლეებს ფსიქოლოგი ესაუბრება, მის საუბარს აუცილებლად დისკოთეკა მოჰყვება, თუ მონვეული ლექტორი კითხულობს ლექციას, ცხოველი დისპუტიც გარდაუვალია და ა.შ.



„სინათლეში“ უამრავი შემოქმედი ჰყავთ. სიმღერით თითქმის ყველა მღერის, ვინც არ მღერის, ის ცეკვავს, მოცეკვავეები ანსამბლ „სინათლეში“ არიან გაერთიანებულნი, ვინც არც მღერის და არც ცეკვავს, დეკლამაციაში ყოჩაღობს. ბევრი კი კიდევ მღერის, კიდევ ცეკვავს და ლექსებსაც ჩინებულად კითხულობს. ისეთებიც არიან, კალამს რომ ცდიან. ამ უკანასკნელებს საშუალება ეძლევათ სასკოლო გაზეთის „ჩვენი გაზეთის“ ფურცლებზე წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობანი. ნელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს „სინათლემ“ საზეიმოდ აღნიშნა პირველი კურსდამთავრებულების გამოშვება და გორის დრამატულ თეატრში გამართულ საღამოზე სრულად გამოვლინდა



სკოლის შემოქმედებითი პოტენციალი. კონცერტში მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებმაც მიიღეს მონაწილეობა და დირექტორმაც. იმ დღეს გორის საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ამ საერო სკოლის სახით ქალაქს განათლებისა და კოლტურის ჩინებული კერა შეემატა. ყველაფერთან ერთად სკოლაში მუსიკალური სტუდიაც აქვთ, საჭადრაკო კლუბიც და ტურისტული კლუბიც. კარგა ხანია ტრადიციულად იქცა ტურისტული გასვლები თუ ლაშქრობები გორის შემოგარენში. აიკიდებენ მოსწავლე-მასწავლებლები ზურგჩანთებს და ხან ბიისის გზას დაადგებიან და ხან

ვერეს ციხეს-მოინახულებენ, ხანაც დანჯვისის ციცაბოს აუცილებიან. კარვებში ცხოვრება, კოცონთან გატარებული საღამოები კიდევ უფრო აახლოებს ბავშვებს, მოსწავლე-მასწავლებლებს. ეს კი თითოეულს ცოდნის გამდიდრებასა და სულის გაფაქიზებაში ეხმარება.

მოგეხსენებათ, კერძო სკოლები ფასიანია, ფასიანია „სინათლეც“, თუმცა უფროსკლასელებს სრული საშუალება ეძლევათ გადასახადისაგან გაათავისუფლონ საკუთარი ოჯახი, ის კი არა, სტიპენდიაც დაიმსახურონ. ამისათვის მათ მთელი წლის განმავლობაში არც ერთი „ოთხიანი“ არ უნდა მიიღონ. სტიპენდიატები თავისთავად, მაგრამ მათ გარდა ის მოსწავლეები, რომლებსაც ამა თუ იმ საგანში წლიური შეფასება „ფრიადი“ აქვთ, მოცემულ საგანში გამოცდას აღარ აბარებენ.

ასე ცხოვრობს ერთი ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი საერო სკოლა, რომელსაც ძალზე მორგებული, უბრალო და მრავლისმეტყველი სახელი ჰქვია — „სინათლე“. სწავლობენ, იზრდებიან გოგობიჭები ამ სკოლაში, მერე ცხოვრების დიდ სავალ გზაზე გავლენ, საგზაოდ კი აქ შექმნილ ცოდნას, აქ ჩანერგილ სიკეთეს და სიყვარულს წაიღებენ... ჩვენ მხოლოდ მოკლედ გიამბოთ „სინათლის“ შესახებ. ბევრი რამ უთქმელი დაგვრჩა, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა, ჩვენს ყურნალსა და ამ სკოლას შორის რომ დამყარდა, იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ჩვენ კვლავაც შევხვდებით და უფრო მეტს ვეცყვით ერთმანეთს.

სილონია ზაალიშვილი  
ქ. გორი

მე და ჩემი მეზობელი გოგიტა ვენახებში გონგორაზე წასვლას ვაპირებდით.

- სოხუმელიც წავეყვანოთ! - მითხრა მან, „სოხუმელს“ აფხაზეთიდან ლტოლვილს, ჩვენს თანატოლ ბიჭს ვეძახით.

გუბაზს ვინც ჰკითხავს, სადაური ხარო? სოხუმელი გახლავართო, პასუხობს.

გუბაზს სოხუმი ძალიან ბუნტად ახსოვს. ორი-სამი წლის ყოფილა, მშობლებთან ერთად აფხაზეთი რომ მიუტოვებია.

მისი უმცროსი, ტყუპი და-ძმა ანო და ვანო კი აქ - ქიზიყში დაიბადნენ, ისინიც გაიძახიან, სოხუმელები ვართო.

- მოდი და ელაპარაკე ამათ! ვთქვი ერთხელ.

- ვერ გაამტყუნებ, ხვალ თუ ზეგ ეგენი აფხაზეთში დაბრუნდებიან და სოხუმელები იქნებიან!

- გამეპასუხა გოგიტა.

- ჰოდა, იმას ვამბობდი, გონგორაზე გუბაზის წაყვანაც გვინდოდა. გაუარეთ სახლში. შინ არ დაგვხვდა და უიმისოდ დავეშვიტე ჩვენი სოფლის ვენახებისაკენ.

ვენახები შრიალ-შრიალით შემოგვეგება. უბერავდა ალაზნის ველის ჭინჭარივით მსუსხავი, ცივი ნიაფ-წანწალა და ვაზის გაყვითლებულ ფოთლებს წაღმა უკუღმა დააფრიალებდა.

დავრბივართ ვაზის რიგებს შორის მე და გოგიტა. ვეძებთ ლერწმე შერჩენილ ყურძნის მტევნებს და ერთმანეთს ჭოტბებივით გავძახით:


- იპოვე?  
- ვერა, ვერა, შენ?!

- ვერც მე!  
რა ძუნწები ყოფილან ვენახის პატრონები, ერთი კუფხალი მოლოდინაც არ შეუნარჩუნებიათ ვაზისათვის! - ფიქრობ გულმოსული და ვენახის ბოლოდან გოგიტას ხმა მესმის:

- არის, არის, ვიპოვე!

იმ წუთას მეც შევასწარი თვალი რქაწითელის მტევანს, ფოთლებში წითელ-ყვითლად ღუოდა, ნიაფი-წანწალა ანანავებდა.

- მეც ვიპოვე, გოგიტა! - გავძახე გახარებულმა. მტევანი ვაზიდან ჩამო-



ვწყვიტე და პირი ვტაცე, გემო გავუსინჯე. უუ, რა ტკბილი იყო, ცივი და ტკბილი, ნამდვილი თაფლის წუნა. ვჭამდი ყურძენს და თვალი სხვა ვაზებისკენ გამიბრბოდა.

ვხედავ, სულაც არ ყოფილა ძუნწი და ქეაწვია ვენახის პატრონი. ვაზებში მოთარეშე ველის ნიაფი ხან აქ, ხან იქ აჩენდა ფოთლებში მიმაღულ ყურძენს.

ყურძნის ჭამით ლამის თავი მოვიკალი. ახლა ვაზებს შორის იმიტომ დავძებრები, რომ ცოტა სახლშიაც გაუყოლო სასუსნავად. ლერწმე ჩამოვწვინილებულ ყურძნის მტევნებს ავიღებ და ვწყვეტ და ხელში ვიგროვებ.

უცებ ციდან ყინულივით ცივი წვიმის წვეთები წამოვიდა. ვენახში დიდხანს გაჩერება აღარ შეიძლება.

- არ გვეყოფა, ბიჭო? - მეძახის გოგიტა.

- გვეყოფა! - ხმაძალდა გავეხმიანე და ორივე სოფლისკენ აუჩქარდით. იმასაც ჩემსავით ავიღოვით და უმშვენებია ხელი.

სოფელში რომ შევედი, წინ მხრეში ულოდნელად სოხუმელი შემოგვხვდა - თქვენთან მოვიდიოდი გონგორაზე! - დაიგვიანე, წვიმა დაიწყო! - ვთქვი მე.

- ჰო, წვიმს! - გუბაზმა ჩვენს ავიღოვს თვალი შეავლო. მე და გოგიტამ ვიცით, რომ გუბაზიანთ ვენახი არა აქვთ.

რთველში ოჯახიანად მეზობლები ვეპატიუებით ხოლმე. გოგიტამ გუბაზს ავიღოვბი გაუწოდა:

- აპა, გამოძართი!  
- სულ, ბიჭო? - გაუკვირდა იმას.

- აბა, რა, გამოძართი, ჩვენ იმდენი ვჭამეთ, ლამის მუცლები დაგვისცადა. არა, თემურ? - გოგიტამ ღიმილით გამოძახა.

ავიღოვბი ახლა მე გაუწოდა. - ეს კი ანოს და ვანოს წაუღე, ღმერთმა შეარგოთ!

- გმადლობთ, ბიჭებო, მე რომ აფხაზეთში დაბრუნდები, იქ თურმე მანდარინის დიდი პლანტაცია გვაქვს. მანდარინის რთველში დაგაპტიუებთ!

- გონგორა იქაც იცით? - ჰკითხა გოგიტამ.

- ვიცით, აბა, არ ვიცით? მაშინ თქვა, სიყმაწვილეში მანდარინის გონგორაზე მიველიაო, - დარწმუნებით თქვა სოხუმელმა და ტკბილად გაგვიღიმა.

წვიმამ მოუხშირა. ცხვირ-პირზე წუწი ჩამოგვივიდა, სახეზე სიცივისგან ტაო აგვეშალა.

- ეხლა კი ჩიტი თავის ბუდეში! - თქვა გოგიტამ და შინისკენ გაიქცა. მეც აუჩქარდი. მარტო გუბაზი მიდიოდა სახლში დინჯად, აუჩქარებლად. ალბათ იმიტომ, რომ ავიღოვბს ყურძნის მარცვალს არ გასცვივროდა, ფრთხილობდა.



ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისთვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის

ილია ჭავჭავაძე

ყოველდღე უნდა მოისმინო თუნდაც ერთი პატარა სიმღერა, ნახო ერთი პატარა ნახატი, წაფითხო ერთი ბრძნული გამონათქვამი.

გოეთე

განათლება განძია, შრომა - მისი გასაღები. პ. ბუაზტი

წიგნი ჰგავს ზღვას, რომლის სიღრმე-დან მყვინთავეებს ძვირფასი მარგალიტები ამოაქვთ.

ვოლტერი

ისწავლეთ, რაც შეიძლება ღრმად და ზედმიწევნით ევროპული ენები და სვით ევროპული მეცნიერება ხარბად და გაუშამღრად. მაგრამ ამასთან არასდროს არ უნდა დაეიწყოთ, რომ ყოველი ევროპელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის მშობლიურს ენას და მხოლოდ მას უკან შეუდგება ხოლმე უცხო ენის ცოდნის შექმნას.

იაკობ გოგებაშვილი

სანამ ცოცხალი ხარ - ისწავლე გამუდმებით. ნუ დაელოდები, რომ სიბერემ მოგიტანოს სიბრძნე.

დემოკრიტე



## მდინარე ქობულთაში

ელისო სამეგობროს სელი და ბელი იყო, სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, გულბოლი. ყველას უყვარდა, ღივსა და ჰაჭაჩასა. თვითონაც ყველა და ყველათუი უყვარდა... ჯიღის უყვარდა, ჯიღის მოიხიდა, ბუხის მოცნობდა. ნუნანს გულში ახასტის ჩაიტოვებდა... შიში ახ იყო... ცხენზე ჯიღობდა უყვარდა. ღამაში ცისთუი თვალბი ახასტის უნაღლიანებდა...



ნილი ელისო არასდროს მინახავს. საგნებთან გეორგრაფია, ქართული და ისტორია უყვარდა გამორჩევით. სკოლაში გერმანულს სწავლობდა, მაგრამ ძალიან უნდოდა ესპანურის, ჩინურის, ფრანგულის სწავლა... ძალიან უყვარდა თავისი მშობლიური ქუთაისი და სულ ცუპირდებოდა მეგობრებს, აუცილებლად წაგიყვანთ და გაჩვენებთ ჩემს ქუთაისსო...

ვერ წაგიყვანა...  
**ნინო დოღვაჯანიანი,**  
ელისოს თანაკლასელი.



მეხე ჯი...  
მეხე უსამელო სენი მოიხია, შუაღინა, ხალისი წაიხივა, ღიმილი ჩაუქიო, ზოლოს ჯი ღამაში ცისთუი თვალბი სამეგობრო დაუხეჭა.  
ახლანან, 3 სექტემბრის ელისო ძიგამეილის გახდაცვალბიდან ჯიტი ნელი მუხივდა.  
ღმერთო, გაანათე ელისოს უსოდველი სელი!

\*\*\*

...ელისო იყო, კახეთში, სოფელ ბალოჯიანში ვიყავით, ელისო ამხანაგის ცხენზე შეეჯდა. გააფრთხილეს, იცოდე, ხმაურზე ფრთხილბო. ტრაქტორმა გამოიარა, ცხენი დაფრთხა, ელისომ გადმოსვლა მოინდომა, მაგრამ გაჭენებული ცხენი ვეღარ გააჩერა და გაჭენებულიდან გადმოხტა... მარცხენა ხელ-ფეხი სულ დაუღურვდა, ფეხი გაეჭრა, მაგრამ მალე შეუხორცდა. მერე ია ბებიამ გულაურში წაიყვანა, იქ სილურჯები გამოიჩინა ტანზე. ერთხელ თერგში გასულა და იფიქრეს ამის ბრალიაო. მერე მერე ქობულეთში თავბრუ ეხვეოდა, ფეხზე ვერ დგებოდა... ქუთაისში ანალიზი აუღეს და... სისხლის გათუთრება დაუდგინეს. ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაეწვიეთ, ქიმიკურაპია გაუკეთეს, მაგრამ არაფერი ეშველა... საავადმყოფოში გარდაიცვალა...

ძალიან მაკლია ჩემი და, სულ მენატრება...

**ელისოს მამა**  
**გიორგი ძიგრაშვილი**

ელისო ყოველთვის კარგად სწავლობდა, უკეთესი რომ არ შეიძლება, ისეთი ადამიანი იყო, კეთილი, სიცოცხლით სავსე. არ იღლებოდა, ყველას დალიდა და თვითონ ისევე ხალისობდა. პირველი კლასიდან ვმეგობრობდით, მერე კლასში რომ ვიყავით, 53-ე სკოლაში გადაიყვანეს, მაგრამ

მეოთხეში ისევე ჩვენთან დაბრუნდა და სულ ერთად ვიყავით. ხშირად დავლიოდით ბოტანიკურ ბაღში, ხან მშობლებთან, ხან ამხანაგებთან ერთად.

ბევრი ღამაში ოცნება ჰქონდა... ორისტობას აპირებდა... ან თვითონ როგორ იფიქრებდა, ან ჩვენ, რომ ასე ადრე შეწყვეტილია მისი სიცოცხლე.

არა, ჩემს ხსოვნაში ჩემი მეგობარი ახლაც ცოცხალია და ყოველთვის ცოცხალი იქნება.

**ანა ძაგანიანი, ელისოს**  
**თანაკლასელი**

\*\*\*

ვერ წარმომიდგენია, წარსულ დროში როგორ უნდა ვილაპარაკო ელისოზე. ის ხომ ისეთი ენერგიული, ისეთი მხიარული იყო ყოველთვის... ყველას აკვიროვებდა ხოლმე. ძალიან გულბოლი და კონტაქტური იყო. გაუტყვას ვერ იტანდა, პირველი თვითონვე ურიგდებოდა ხოლმე ამხანაგს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო დამნაშავე. სხვისთვის რომ არ ეწყინებინა, კამათშიც დათმობდა ხოლმე...

ძალიან კარგად უკარვდა პიანინოზე, მღეროდა, ცეკვავდა, მხიარულობდა და ყველას გემხიარულებდა. მოწყვნილი? რა ვიცი, მგონი მოწყვნილი...

მთელი სკოლის ბიჭებს მოსწონდათ. მალაი იყო, ღამაში, ქერათმიანი, ცისფერთვალე, სამოდელო აკადემიაში დადიოდა. ერთ ადგილზე ჯდომა არ უყვარდა, სულ მოძრაობდა, ხალისობდა, უყვარდა ექსკურსიები, ბუნება, ცხენები. კარგად ხატავდა, უფრო პეიზაჟების ხატვა უყვარდა.

მისი გარდაცვალების ამბავი რომ ვიცი, ვერ ვიჯერებდით, იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ გვერდით აღარ გვეყოლებოდა ვეღარც კეთილი, ჭკვიანი, გულითადი, პირიმილიანი მეგობარი, რომელსაც ასე ძლიერ უყვარდა სიცოცხლე...

წლებადელი სასწავლო წელიც ელისოს გარეშე დაიწყო, მაგრამ ჩვენთვის ის მაინც თანაკლასელად რჩება, მუდამ ჩვენ გვერდით გვეყოლება, ასე იქნება მუდამ...

**თიკა ბალაშვილი,**  
**ელისოს თანაკლასელი**



თამაზ ჯიშკარიანი

თამაზ, თაზო ჯიშკარიანს სენაკში ყველა იცნობს - დიდიც და პატარაც, თაზო რომ ტელეეკრანზე გამოჩნდება, თანატოლებმა უკვე იციან, რომ მან მორიგი საინტერესო გადაცემა მოუმზადა მათ და წამითაც არ სცილდებიან ტელევიზორს. თაზო კარგა ხანია უძღვება ტელეკომპანია „ვერისის“ საბავშვო პროგრამას და არა ერთი სერიოზული, შემეცნებითი თუ გასართობი მასალა აქვს მომზადებული. ამ გადაცემებს უფროსებიც სიამოვნებით უყურებენ და გულში უხარიათ, რომ ამ ბიჭის სახით გონიერი, საზრიანი, ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა იზრდება. თაზო მარტო თავის თანატოლებზე როდი უამბობს სენაკელებს, უფროსი თაობის სახელოვანი წარმომადგენლების საქმიანობასაც აცნობს თანაქალაქელებს და ამას ისე კარგად, ისე საფუძვლიანად აკეთებს, რომ ზოგ გამოცდილ ტელეჟურნალისტსაც არ უდებს ტოლს.



თაზო სენაკის კერძო სკოლა „მარიოტას“ მეოთხე კლასის მოსწავლეა და აქაც საუკეთესოა, სულ ფრიადებზე სწავლობს. სწავლა არ უჭირს, ნიჭიერი ყმაწვილი ამასთან მუყაითიც არის და სწორედ ამიტომ აღწევს ყველაფერში წარმატებას.

უნდა ნახოთ შავ ახალუხსა და შინდისფერ მოსირმულ ჩოხას რომ ჩაიცვამს, უძირო „აზიაცებს“ რომ ამოიჭიმავს წვივებზე და ვაჟკაცური მიხვრამოხვრით რომ აცეკვდება, რა ცეცხლს დაანთებს ხოლმე სცენაზე! ძალიან უყვარს თაზოს ქართული ცეკვები, სულსა და გულს აქსოვს ყოველ მათგანში, ცეკვისას მარტო ამა თუ იმ ილეთს კი არ ასრულებს, ცეკვის შინაარსსაც უყვება მაყურებელს, მასში ჩაქსოვილ ამბავს გადმოსცემს. სიმღერაც ძალიან უყვარს, სიამოვნებით მღერის ქართულ სიმღერებს.

თუმცა კი ძალიან დატვირთულია, მაგრამ მოწესრიგებული ყმაწვილი სპორტზე სიარულსაც ასწრებს და ტოლებთან გართობა-თამაშსაც.

თამაზ ჯიშკარიანს წინ დიდი და საინტერესო ცხოვრების გზა ელის და მის მიერ ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯები იმის თქმის უფლებას იძლევა, რომ მისი სახით მამულს ღირსეული შვილი ეზრდება.

ქვემოთაღნი  
ნიშლირთაქა

ანა ჯოჯუა

თანამედროვე გოგონების უძრავლესობას ხელსაქმე ნაკლებად იტაცებს, ფეხის ხმას აყოლილნი, ისინი დროის უმეტეს ნაწილს უცხო ენის შესწავლას და კომპიუტერის ათვისებას უთმობენ. ის კი არ იციან, რომ ქალმა ნებისმიერ შემთხვევაში ყველაფერთან ერთად ხელსაქმეც უნდა იცოდეს. ოჯახის, ქმარ-შვილის მოვლაში, უბრალო დილის დაკერებასა თუ ტანსაცმლის შეკერვა-გადაკეთებაში ინგლისურის და ამა თუ იმ კომპიუტერული პროგრამის ცოდნა ნაკლებად რომ გამოადგებათ, ამაზე ცოტანი თუ ფიქრობენ. 11 წლის ანა ჯოჯუა კი იმ გოგონების რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც ამთავითვე აქვთ გაცნობიერებული, რომ დროის მოთხოვნებით მოტანილი ცოდნის შექმნის აუცილებლობის პარალელურად ქალმა ტრადიციული საოჯახო საქმეებიც აუცილებლად უნდა იცოდეს. შეიძლება შენ წარმატებული ბიზნესმენი, ექიმი, მასწავლებელი თუ თარჯიმანი დადგე, მაგრამ შვილს გარღვეული ხალათი ვერ გაუკერო, ქმარს მისი საყვარელი კერძი ვერ გაუკეთო, შენს გემოზე კაბა ვერ გადაიკეთო, ეს კი ადრე თუ გვიან არასასიამოვნოდ დაეტყობა ურთიერთობებს.



იცი ეს ანამ და ამიტომაც სიამოვნებით სწავლობს ხელსაქმეს, თუმცა რაღა სწავლა ეთქმის, როცა ამას წინათ საყვარელ ბებოს ისეთი კაბა შეუკერა, რომ დახელოვნებულ მკერავსაც შეშურდება. თავისით, დამოუკიდებლად ისწავლა ჭრა-კერვა, ქსოვაც და ახლა შეუძლია სულ თავისუფლად, თავისი გემოვნების შესაბამისად შეიკეროს თუ გადაიკეთოს ტანსაცმელი. მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ანას სხვა არაფერი აინტერესებდეს და იტაცებდეს. ანა ზუგდიდის ზურაბ ჭავჭავაძის სახელობის ჰუმანიტარული და ხელოვნების სკოლა-ლიცეუმში სწავლობს და მუყაითი, გონებაგახნილი და მიზანსწრაფული მოსწავლის სახელითაც სარგებლობს. ძალიან უყვარს მხატვრული ლიტერატურა, ბევრს კითხულობს. გატაცებულია მუსიკით, სიამოვნებით უსმენს კლასიკასაც და თანამედროვე მსუბუქ მუსიკასაც. ყველაფერთან ერთად გოგონა ინგლისურსაც ეუფლება, იცის, რომ მომავალში საქმიანობა-მოღვაწეობის რა სფეროც უნდა აირჩიოს, ეს ენა აუცილებლად დასჭირდება.

ქართული ანდაზისა არ იყოს, ანა ჯოჯუას კოჭებში ეტყობა, რომ მისი სახით ქვეყანას ერთი სანაქებო, განათლებული, შეგნებული, გულისხმიერი ქალი ეზრდება, რომელიც წარმატებით გაუძღვება როგორც საოჯახო, ისე საზოგადო საქმეებს.



# მსოფლიო კიდით კიდევადე



## იაპონია

**პრემიერ-მინისტრმა  
გაგვზავს სპილო არშბა**

მთელი წელი აგრო-  
ვებდნენ იაპონელი მო-  
სწავლეები ფულს პა-  
ტარა სპილოს საყი-  
დლად, ხოლო როცა გა-  
რკვეული თანხა შეაგრო-  
ვეს, შრი-ლანკას პრე-  
მიერ-მინისტრს წერილი  
გაუგზავნეს და აცნობეს,  
რომ შეგროვილი ფუ-  
ლით უნდოდათ შრი-ლა-  
ნკაში სპილო ეყიდათ და  
სამხედრო კონფლიქტის  
დროს დაზარალებული  
ხორვატიის ქალაქ ოქსი-  
ჯეკის ზოოპარკისათვის  
ჩუქებინათ. ბატონ ვი-  
კრემასინგკეს იმდენად  
მოეწონა იაპონელი ბა-  
ვშვების გადაწყვეტი-  
ლება, რომ ადგა და  
ერთი კი არა, ორი  
სპილო აჩუქა მათ. ერთი  
ოქსიჯეკის ზოოპარკი-  
სთვის, მეორე კი იაპო-  
ნიაში დასატოვებლად.



## კოლონეთი

**მოსწავლეებმა პაპი  
დაასახელეს**

სკოლის და პედაგოგიური ლი-  
ტერატურის გამომცემლობის სპე-  
ციალისტებმა უფროსკლასელთა  
შორის ჩაატარეს კონკურსი, რო-  
მლის მონაწილეებს თავისუფალი  
ფორმით უნდა დაესახელებინათ  
მათთვის ყველაზე პატივსაცემი  
ადამიანები და აეხსნათ საკუთარი  
არჩევანი. კონკურსის შედეგებმა  
აჩვენა, რომ თანამედროვე პო-  
ლონელ მოსწავლეებს კერპებად  
ესახელებიან ადამიანები, რომლებიც  
ქველმოქმედებას ეწევიან. რო-  
გორც მოსალოდნელი იყო, პი-  
რველი ადგილი დაიკავა რომის  
პაპმა იოანე პავლე II-მ, რომე-  
ლიც პოპულარულობასთან და-  
კავშირებულ ყველა გამოითხვაში  
ყოველთვის პირველ სტრიქონს  
ფავეებს (შეგახსენებთ, რომ პაპი  
პოლონელი გახლავთ). მეორე  
ადგილზე გოგო-ბიჭებმა რომე-  
ლიმე როკ ან კინოვარსკვლავი  
კი არა, დედა ტერეზა დაასახე-  
ლეს. „სამყაროში, სადაც ადამი-  
ანის ღირებულებაზე მისი საბა-  
ნო ანგარიშის ოდენობა და ავტო-  
მობილის მარკა მეტყველებს, დედა  
ტერეზა გამონაკლისი, არაჩვეულებ-  
რივი ადამიანი იყო.“ – დაწერა  
თავის თხზულებაში ერთ-ერთმა  
გიმნაზისტმა. – მან შეგნებულად  
აირჩია სიღარიბისა და მოყვა-  
სთა დახმარების გზა“. მესამე  
ადგილი პრინცესა დაიანას მი-  
ეკუთვნა, რომელმაც ობლებსა  
და ღარიბების დახმარების გამო-  
დამისახურა ბავშვების პატივი-  
სცემა.



## ზამბია

**აბრასორი მელაკუდა**

არავენ იცის, საიდან  
გაჩნდა ლუსაკას ცე-  
ნტრში მელია, ის კია,  
რომ ქალაქში იგი ძა-  
ლიან აგრესიულად  
იქცეოდა. როდესაც 11  
წლის ლემი კაიობა, რო-  
გორც ყოველთვის, სკო-  
ლიდან შინ ბრუნდე-  
ბოდა, მელაკუდა თავს  
დაესხა მას. მელაკუდა  
ჯერ თემოში ეცა გო-  
გონას, მერე კი სცადა  
მკერდზეც შეხტომოდა,  
მაგრამ ლემიმ იმარჯვა  
და ყელში სწვდა თავდა-  
მსხმელს, ორივენი მი-  
წაზე გაგორდნენ. თუმცა  
გოგონა არ ეპუებოდა  
ცხოველს, მაგრამ რა-  
დგან დაჭრილიც იყო,  
ძალა მალე გამოეღია  
და ყვირილი ატენა. პო-  
ლიციელმა სწორედ სუ-  
ლზე მიუსწრო და ბა-  
ვში გაავებული მელი-  
ასგან იხსნა.



## კუბა

**კინო ყველაფერს  
ურჩევინაოთ**

ლუის ჰარისის სამსა-  
ხურის სპეცსამსახურების  
მიერ ჩატარებული გამო-  
კითხვის შედეგებით დადგი-  
ნდა, რომ ტიპურ ამერი-  
კელ მოსწავლეს დღეში 11  
საათი აქვს თავისუფალი.  
მოზარდების ყველაზე პო-  
პულარული საქმიანობა კი-  
ნოში სიარულია – გამო-  
კითხულთა 86 პროცენტი  
სწორედ ამგვარ დასვენებას  
ამჯობინებს. აღსანიშნავია,  
რომ კინოში სიარულს ამე-  
რიკელი მოზარდები წელი-  
წადში 720 მილიონ დო-  
ლარს ანდომებენ. 83 პრო-  
ცენტმა განაცხადა, რომ  
მათ კითხვა უყვართ. კო-  
მპიუტერულ და ვიდეოთა-  
მაშებს რესპონდენტთა 63  
პროცენტმა მიანიჭა უპი-  
რატესობა – ამ გართობი-  
სათვის 945 მილიონი დო-  
ლარი იხარჯება.  
გარდა ამისა, ახალგა-  
ზრდებს უყვართ ცურვა,  
ველოსიპედით სეირნობა,  
საყვარელი მსახიობების  
კონცერტებზე სიარული და  
ბოულინგი.



### ლევან ჯოჯუა

ზუგდიდის ზეხად ქავექავადის სახელობის ჰუმანიტა-  
 ხელი და ხელოვნების სკოლა-  
 რიყემის მე-8 კლასის მო-  
 სწავლეა. ლევანს ძალიან  
 უყვარს მხატვრული ლიტერა-  
 ტურა, განსაკუთრებით, ჰო-  
 ეზია, იგი თვითონაც წეხს  
 ლექსებს, ხომლებიც საბავშვო  
 ექიანდ-გახუთებში იბეჭდება.  
 ლევანი გატაცებულია სპო-  
 ჰიტით, გამოიჩინა – ფე-  
 ხბუხითით. პახადეუხად სწა-  
 ვლობს მუსიკალუ სკოლაში,  
 ფოხტეპიანოს განხხით, გა-  
 ხდა ამის,ა გაძლიეხებუდა ე-  
 ფლება ინგლისუი ენას.

### ბაგაული

ჩემი ქვეყნის ერთგული ვარ,  
 გავიზრდები მისთვის,  
 თავს შევწირავ მის სიწოწოლეს  
 და სიყვარულს მინის.

დამძიმდა გული,  
 ქართველთა სული,  
 მერ ქართველი ვარ  
 და მტკივა გული.  
 მინდა, რომ იყოს ჩემი სამშობლო  
 მთლიანი, მხნე და თავანუელი  
 და ყველამ ერთად ამერ-იმერმა  
 ვიხილოთ იგი გამარჯვებული!

### ბაზაფხულის სურათი

მოდის ცურფა გაზაფხული,  
 აყვავილოდა მთა და მდელო,  
 ულამაზეს სურათსა ჰგავს  
 მოხატული საქართველო.

### მონატრება

მენატრები, აფხაზეთო, ლამაზო,  
 მენატრები, შენი მინის შვილი ვარ.  
 მენატრება შენი ლურჯი მთა-ველი,  
 მენატრება ლივლივა ზღვის ჩუმი ხმა.  
 მაგონდები შენი წქერიით დამტკბარი.  
 მაგონდები და მგონია, რომ მიხმობ,  
 მეუფეო, დამიბრუნე სოხუმი,  
 სიხარული, სიყვარული კვლავ ვიგრძნო.

### ნათია ჩაფიძე

საგაქუთომი ცხოვრობს და  
 სწავლობს. იგი გაისად დაამთ-  
 ვიებს სკოლას და ხმგოხუ თა-  
 ვად ამბობს, ექიანდისტიკის  
 ფაქტეუტუე გააგხძელებს სწა-  
 ვდას. ნათია საუცხოოდ მღე-  
 ხის და უეხავს გიტახაზე, ძი-  
 ხითადად საუთაი ნანახმო-  
 ებებს ასხელებს, თუმცა მისი  
 საყვარელი მომღეხლის ჟო და-  
 სენის სიმღეხებსაც სიამოვნე-  
 ბით მღეხის. ნიჭიეი გოგონა  
 მომღეხლობაზე ოცნებობს, და-  
 ხნმუნებელია, ხომ სწოხედ ეს  
 ახის მისი მოწოდება და ახუ  
 იმაში ეპახება ექვი, ხომ ოცნე-  
 ბას ასხელებს.




### ყველაზე ლამაზი

ყველაზე ლამაზი რა არის ქვეყნად -  
 სანთელი, როდესაც ინვის და დნება?  
 შენი თვალენი თუ ზღვათა ღელვა?  
 ყველაზე ლამაზი რა არის ქვეყნად?  
 ლამაზი ყველაზე რა არის ქვეყნად -  
 დილის რიჟრაჟი თუ ვარსკვლავთ რენა?  
 შენი ლიმილი თუ რათა ელვა?  
 ყველაზე ლამაზი რა არის ქვეყნად?  
 ლამაზი ყველაზე რა არის ქვეყნად -  
 ფოთოლთ შრიანლი თუ მათი რენა?  
 ვარსკვლავთ რიმერიმი თუ ფრინველთ სტვენა?  
 ყველაზე ლამაზი რა არის ქვეყნად?  
 ლამაზი ყველაზე რა არის ქვეყნად? -  
 სანთელი, როდესაც ინვის და დნება?  
 შენი თვალენი?  
 ნუთუ ესაა ყველაზე, ყველაზე ლამაზი  
 ქვეყნად?

### ლამის სიჩუმი

ლამეა ნაზი და იდუმალი,  
 ისეც ღრუბლებში მიწურავს მთვარე  
 და არც ერთ ფოთოლს არ არხევს ქარი.  
 ვარსკვლავთა ჯარი რიმერიმებს რაზე.  
 ირგვლივ ლამეა, სიჩუმი ბნელი,  
 დაფიქრებული შევრქერი მთვარეს,  
 იდუმალების მოჭრფიანლინი  
 ისეც ერთად ვართ კვლავ მე და ლამე...  
 იდუმალებას მოუწავს ლამე,  
 ვარსკვლავთ რიმერიმი ისეც მიტარებს,  
 ჩემი ორენება რაში დაწურავს,  
 მე კი კვლავ ვრჩები დედამინაზე.





არც ისე დიდი ხანია ძველ თბილისში, აბანოთუბანში დების ნანა, მაია და მარია იზორიების სახელოსნოში ბავშვთა სამხატვრო სტუდია გაიხსნა, ამ ზაფხულს კი სტუდიის მოსწავლეებმა საჯაროდ, გამოფენაზე გამოიტანეს საკუთარი ნამუშევრები და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაო აღტაცებაც გამოიწვიეს. სტუდიის აღსაზრდელების ნახელავმა ბარელიეფებმა, პანოებმა, დეკორატიულმა თეფშებმა, ფიგურებმა ერთ რამეში დაარწმუნა გამოფენაზე მისულნი - ამ სტუდიაში ბავშვებს უბრალოდ თიხაზე მუშაობას, ძერწვას კი არ ასწავლიან, არამედ აჩვენებენ დამოუკიდებელ აზროვნებას, ეხმარებათ საკუთარი „მეს“ გაცნობიერება-განმტკიცებაში, პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

ბავშვებთან მუშაობაში სტუდიის ხელმძღვანელს და მის დებს პროფესიულ განათლებასთან ერთად (სამივე ქალბატონს თბილისის სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული), პედაგოგი მშობლების ოჯახში შექმნილი ჩვევები და ცოდნაც ეხმარება. სხვადასხვა ასაკის გოგო-ბავშვებთან ურთიერთობაში სწორი ტონის მონახვას კი იმის შეგნება უადვილებს, რომ კერამიკას, ძერწვას, თიხაზე მუშაობას, შეუძლია არა მარტო ხელოვნების აღქმის კულტურის გამომუშავებაში დაეხმაროს თითოეულ მათგანს, არამედ ფსიქიკის ჩამოყალიბებაში, ინტელექტუალური „მეს“ წინა პლანზე წამოწევაში, ასაკის თავისებურებებთან დაკავშირებული სიმკვლეების გადალახვაშიც. უშუალოდ ძერწვა-ქანდაკება-ხატვის დაუფლების პარალელურად ბავშვები თეორიულ ცოდნასაც იძენენ. მათ გამიზნულად აწვდიან ინფორმაციას საქართველოს თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნების ისტორიიდან, დღევანდელიდან. ამასთან ინფორმაციის მიწოდება ეტაპობრივად, ასაკის გათვალისწინებით ხდება - 4-5 წლისებს უფრო მარტივად, უფრო ხატონად უყვებიან, ცოტა მოზრდილებს - უფრო გაღრმავებული სახით და ასე შემდეგ. ასეთივე წესით აცნობენ ხელოვნების ისტორიის მასალებს, უხსნიან მართლმადიდებლური რელიგიის არსს. ასეთ ვითარებაში

ბავშვებს სულ არ უჭირთ მოსმენილის ათვისება, მოსწავლე-მასწავლებლის ამგვარი უშუალო ურთიერთობა ბევრ წინაღობებს ხსნის და ბავშვები მათთვის შეთავაზებული გზით სიამოვნებით მიჰყვებიან მასწავლებლებს ცოდნის სამყაროში...

სტუდიელები ხშირად დაჰყავთ ტაძრებში, აგრეთვე არქეოლოგიურ გათხრებზე, სადაც ისინი სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ მასალას ეცნობიან.

მოსწავლე-მასწავლებლების ერთობლივმა შრომამ, ურთიერთგაგებად და ურთიერთპატივისცემამ მოიტანა ის საოცარი შედეგი, სტუდიელთა პირველ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების სახით რომ იხილა საზოგადოებამ. უბრალო მნახველის, თუნდაც ხელოვნების მოყვარულის შთაბეჭდილება ერთია, შეგირდებოდა ნათქვამი ოსტატის სიტყვა კი - მორე, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ უკეთესი იქნება, თუ თავის მოსწავლეებზე თავად ქალბატონი მარია იზორია ისაუბრებს:

- 12 წლის თამუნა გოგორიშვილი ძალიან ინტელექტუალური, განათლებული ბავშვია. მას ხელოვნების ყველა დარგი უყვარს, გამორჩეულად კი ქანდაკება. თამუნა გარემოს ძალიან ლირიკულად, სენტიმენტალურად აღიქვამს, ამასთან, მას ანასიათებს დიდი შინაგანი გემოვნება, მდიდარი წარმოსახვა. ეს მის ნამუშევრებშიც მკაფიოდ გამოიხატება. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თამუნას ნახელავი წმინდა ბარბარეს, თამარ მეფის ქანდაკებები, განსხვავებული სასმისი, აქლემი, ყირაფი, დეკორატიული პანო... მინდა საზი გაეუხუცა ფერის ინტუიციას, რომელიც ასე გამოარჩევს თამუნას. საერთოდ თიხაში, ფერში მუშაობა ინტუიციით ხდება და ამ გოგონას კი ეს ნიჭი უხვად აქვს მომადლებული.

პატარა სოფეო მაისურაძე გამორჩეული, მე ვიტყვოდი, სულისძიერი ადამიანია და ეს ცისფერის სიყვარულში ვლინდება, მის ნამუშევრებში სწორედ ეს ფერი ჭარბობს. ყველაფერში ერთნაირად ბეჯითი გოგონა ადვილად მოწყვლადია, გული სულ ადვილად ჩაწყდება ხოლმე, ღრმად განიცდის ყოველ თავის ნამუშევარს, გარემოს. ყველაზე მეტად ცხოველების გამოქანდაკება უყვარს. ყოველი მისი ცხოველი ლაპარაკობს, უყურებს მათ და გგონია, რომ აი ახლა ამეტყვევებდიან... და კიდევ - სოფეოს ყველა ნამუშევარი მას ჰგავს.

სოფეო ჯერ ცხრა წლისაა, მაგრამ თხრობის ისეთი თანდაყოლილი კულტურა, სიტუაციის გამოგონების და აყოლების ისეთი უნარი აქვს, რომ სულ ადვილად შეუძლია ჩვეულებრივი გარემოება ზემად აქციოს. მოკლედ, ისეთია, თავს აუცილებლად დაგამახსოვრებთ.

სტუდიელთა შორის ყველაზე უფროსი 15 წლის გიორგი მაისურაძეა და მისი ასაკი ნამუშევრებსაც ეტყობა, ისინი ბევრად უფრო რეალისტურია. ეს უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა და მის ჩამო-

ვალბებაში დიდი როლი ხატვას დაძველულ რწვას მიუძღვის. გიორგი ოთხი წლიდან ხატავს და ძერწავს, შეიძლება ითქვას, რომ იგი თიხასთან ერთად გაიზარდა, ისე რომ ეს მასალა საკვებით გათავისებული აქვს, ათვისებული აქვს ყველა ტექნოლოგიური პროცესი. მის შემოქმედებაში წამყვანი თემა ცხენი - თავისუფლების სიმბოლო. გიორგი ანატომიურად ბრწყინვალედ იცნობს ამ ცხოველს და ეს ძალიან ეხმარება მუშაობაში. გარდა იმისა, რომ ძალიან ნიჭიერი ემაწვილია, იგი ძალიან ნაკითხია, უყვარს წიგნები.

გიორგი ძალიან დამოუკიდებელი ადამიანია თავისი უკვე ჩამოყალიბებული „მეტი“ და ყველაფერზე საკუთარი აზრით. როგორც თავად ამბობს, პირველი ნამუშევარი რომ გამოუვიდა, მიხვდა, რომ ყველაფერს შეძლებდა, ახლა კი დარწმუნებულია, რომ არასდროს არაფერს შეუშინდება.

9 წლის რევაზ და 4 წლის მირიან ჩიქოვანები ძმები არიან. რეზო გამორჩეულად ღრმა ბავშვია, რაც გონებაში ჩაუჯდება, სამუდამოდ რჩება, ძალიან ეხერხება ცხოველების სახასიათოდ წარმოდგენა. გულწაფლობით რეზოს ნამუშევრებში ერთგვარი სევდა იგრძნობა. სამაგიეროდ, პატარა მირიანისთვის, რომელსაც შინაურობაში გულუნას ეძახიან, ყველაფერი ცეკვავს, თვითონაც სულ ხალისობს, სულ ცეკვავს, ღიღინებს, თავის გაკეთებულ კაცუნებს ელაპარაკება. უფროსი ძმისგან განსხვავებით, გულუნა გულგახსნილი და მხიარულია და ეს მის ნამუშევრებსაც ეტყობა, ძალიან უყვარს წითელი ფერი და ყველაფერს აწითლებს, ისე რომ მუშაობის დროს ამ საღებავს უმაღლეს ხოლმე, რაც მას ძალიან აბრავებს. როგორც თვითონ ამბობს, წითელი ფერი ცეკვავს, მხიარული და სასაცილო ფერია. ყოველთვის სიამოვნებით მუშაობს, განსაკუთრებით ბარელიეფი, რელიეფი და პანოები უყვარს. გულუნა გამორჩეულად ნიჭიერია, მისთვის მიუღწეველი არაფერია. ძმები არასდროს ჩხუბობენ და ორივეს ძალიან, ძალიან უყვარს კითხვა.

თანდაყოლილი ნიჭი ეხმარება ათი წლის ჯემალ გოვლაძეს უმაღლეს ხარისხზე აქციოს მაია მასწავლებლის ყოველი მონაყოლი. გამოფენაზე წარმოდგენილი მისი „ჯადოქარი“ ერთ-ერთი ასეთი სახეა. მისი შექმნილს ჯემალმა ქართული, აღმოსავლური, რუსული ზღაპრების პერსონაჟების დამახასიათებელი შინაგანი თუ გარეგნული ნიშან-თვისებები გაათვითცნობიერა, ზღაპრული სამყაროს ატრიბუტები, კეთილი და ბოროტი ჯადოქრის მახასიათებლები გამოიყენა და ძალზე ორიგინალური ჯადოქარი გამოძერწა. დარწმუნებული ვარ, რომ ჯემალი მომავალში დიდ წარმატებას მიაღწევს.

**ფურნალის გარეკანის მე-4 გვერდზე, განყოფილებაში „ჩვენი ვერნიხატი“ წარმოდგენილია ბავშვთა სამხატვრო სტუდიის მოსწავლეთა ნამუშევრები.**



ამ ზაფხულს მამამ ძაღლების გამოფენაზე წამიყვანა. ყველა ძაღლი მომიყვანა, მაგჩამ ყველაზე მეტად - შაჩ-პეი. მამა შემპიხდა, ხომ ხოგოხც ჯი ფული ექნება, შაჩ-პეის ღეჯვს მიყიდის. მანამდე ჯი მინდა, ჩაც შეიძლება მეტი ვიცოდე ამ ჯიშის შესახებ, თუ შეგიძლიათ, დამეხმარეთ.

ცოტნე ჭაბუკაშვილი,  
თბილისი

## ჩინური ძაღლი შარ-პეი

ცოტნე, შენ ძალიან კარგი არჩევანი გაგიფეთებია, შარ-პეი მართლაც საუცხოო ვინაა და თუ მამა თავის სიტყვას შეასრულებს, მართლ შენ კი არა, მთელ თქვენს ოჯახს დიდი სიამოვნება ელის. ერთ-ერთი ვერსიით ეს ჯიში უძველესი მასტიფების ჩამომავალია, მეორე ვერსიის თანახმად, მისი წინაპარი დაბალბეწვიანი ჩაუ-ჩაუ უნდა იყოს. ასეა თუ ისე, ჩინური შარ-პეი დღეს ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ჯიშის ძაღლია მთელ მსოფლიოში. თავისი ზომებით შარ-პეი იდეალურია ქალაქის ბინისთვის. დაბალი ბეწვი, კეთილი ზნე, პატრონისა და იმ სახლის ერთგულება, სადაც გაიზარდა - ეს ის დადებითი თვისებებია, რომელთა გამო ბევრი სწორედ შარ-პეის ირჩევს. შარ-პეის ხანგრძლივი გასეირნება არ სჭირდება, გარდა ამისა, იგი მომცრო ბინაშიც მშვენივრად გრძნობს თავს.



მტერს: იმავე დროს შარ-პეის ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ბავშვებთან, საერთოდ, მას თავის პირდაპირ მოვალეობად მიიჩნია მისი მხედველობის არეში მოხვედრილი ყველა უმწეო არსების დაცვა.

ამ ჯიშის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ შარ-პეი ძალე ეჩვევა სახლში სისუფთავის დაცვას, როგორც წესი, იმისათვის, რომ თქვენმა ლეკვამ სამუდამოდ დაივიწყოს გუბები სახლში, ერთგვირიანი რეგულარული გასეირნებებიც კმარა. აცრამდე ლეკვები სოცრად სუფთები არიან: დაუფინეთ მას რამდენიმე გზეთი და ლეკვს ტუალეტის პრობლემა აღარ ექნება.

ცოტნე, თუ შენ და შენიანები დიდ ყურადღებას დაუთმობთ თქვენს შარ-პეის, გულს უჩვენებთ მას, დარწმუნებულად იფავით, რომ თქვენს ბინაში დიდი ხნით დაისადგურებს მხარულეა და სიხარული. ჩინური შარ-პეი თქვენი ჭეშმარიტი მეგობარი და დარაჯი, საყვარელი არსება და ცოტათი ექიმიც კი გახდება. ყოველმა შარ-პეიმ ბავშვობიდანვე იცის თქვენს გულამდე სავალი საიდუმლო გზა და იგი მანამდე გახდება თქვენი ფიქრთამყრობელი, ვიდრე მიხვდებით, რომ ეს მოხდა. შარ-პეი ერთგული მეგობარი და საიმედო თანამგზავრია, მისი წყალობით თქვენ ახალ მეგობრებს შეიძენთ. შარ-პეი ძალიან სასიამოვნო ცვლილებებს შემოიტანს თქვენს ცხოვრებაში. შემოვა თქვენს ბინაში პატარა, ფუმფულა ლეკვი სასაცილო დანაოჭებული ცხვირპირით და ნებისმიერ ქვის გულს გაააღლობს. სამწუხაროდ, შარ-პეი მაინც და მაინც დღეგრძელი არ არის.



შარ-პეები ერთგვარად ზარმაცები არიან, არ გვერნოთ, წვიმიან ამინდში ქუჩაში გამოგყენენ. შარ-პეები ერთმანეთსაც კარგად ეთვისებიან და სხვა ცხოველებსაც. ამ ძაღლის სახით ოჯახის ნებიერ კატასაც კი აღტაცებული თავყანისმცემელი და თამაშებში ერთგული ამხანაგი ეყოლება. მთლიანობაში შარ-პეი არააგრესიული, გონიერი და მოაზროვნე ძაღლია, რომელიც ჯერ გაიზარებს და შემდეგდა მოქმედებს. ძაღლის პატრონის ამოცანა მართლ მისი გაწვრთნა კი არ არის, არამედ მისთვის სწორი გადაწყვეტილებების მიღების სწავლება, იმისათვის, რათა შარ-პეიმ თავი დარაჯად იგრძნოს, სულ არ არის საჭირო მისი საგანგებოდ გაწვრთნა. შარ-პეის სისხლში აქვს პატრონის ქონების დაცვა. ვაი იმას, ვინც მისი პატრონის ქონებას თვალს დააღამს - შარ-პეი უმაღლესად გაუსწორდება

# მაგამ სუკულენ მე ხელს მიქნედა

## ჩემი ჯაცაო ჯაცაოძეული...



ჯატახეული სოფელის სავაჟეოს ხაიონში, გომბოხის ქელის სამხეთ-დასავლეთ მთისწინეთზე, თბილის-სავაჟეოს სავაჟეომობილო გზაზე, სოფელში შემოხჩენილია XVIII საუკუნის შუა წლების მიხ მხვადი ეოში. სოფლის ჩხილო-დასავლეთით, გოხაზე, ციხის ნანგხევი. XVIII საუკუნის შუა წლებში ამ ადგილზე აღმასთელი ძველი ციხე ეხეიეს განუახლებია. ამის აგხეთვე გვიანდელი შუა საუკუნეების ეიესია.

ამ მშენიერ კახურ სოფელში დაბადა 1899 წელს გიორგი ლეონიძე, ერთ-ერთი ყველაზე ეროვნული ქართველი პოეტი, რომელსაც დიდმა მიხეილ ჯავახიშვილმა ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლული უწოდა.

მართლაც ყელამდე იყო ჩაფლული გოგლა ლეონიძე იეზად ქვეული დედის ცრემლით ლურჯად გადაბურულ, გუთნისდედა ნინიას მიერ მრავალგზის გადაშავებულ მშობლიურ მიწაში, რომელსაც ასე ესათუებოდა სამშობლოაკვიატებული ჩორეხი, რომელიც მარიტასავით ლამამ ბროწეულის ყვავილსაც ამოავარვარებდა სავუთარი ნიალიდან და ტურვად აყვავებულ ნატვრის ხესაც ამოაბრიალებდა, რომელზეც ცალქა ირემივით დაეხეტებოდა სიკვდილამდე სიყვარულის მომლოდინე ფუფალა, მძიმედ დაბიჯებდა სოფლის მამობის დამჩემებელი-გულიდან მხედველი ციციკორე...

ამ მინით ბრის ნასაზროლები ლეონიძის პოეზიაც და პროზაც, მთელი მისი შემოქმედების დერიტა...

მშობლიური სოფლის „ლურჯთვალა იებში, ყაყაოგარეულ ჯე-

ვილებში, მზით ამოვსებულ თავთავებში” პოულობდა, კრეფდა იგი იმ „მუხლად, ბედაურ, მაძარ” სიტყვებს, ასე რომ გამოარჩევს მას ყველა დანარჩენი ქართველი კალმოსნისგან. პატარძელელებით გაცენო, ცხოვრების სიტკბოსა თუ სიმწარეს იისთვა-

კვთი, სიტყვის ჭახრაკების მცოდნე” სწორუპოვარი თამადა ღვინჯუა.

„დიდად მეტყველი”, ტკბილმოქართულე დეიდა მაიკო; ჩორეხი და ციციკორე, მარიტა და გედია, ჩირიკი და ჩიკოტელა, ჭამპურა და ბუნბულა, ქორი და ფორე, სო-

სიკა და რაუდენა, სხვები და სხვები — მათგან სწავლობდა მომავალი პოეტი სამშობლოს სიყვარულს, ძარღვიან ქართულს, ვაჟკაცობას, კეთილშობილებას. მათ კევრზე იჯდა ხოლმე ცისფერთვალა გოგლიკო, მათი გუთნის საყვარის ულელზე, მათ ურემზე, მათ დასდევდა მინდორსა თუ ვენახში იორზე, მათ უკითხავდა წიგნებს, მათგან ინერდა შაირებს, გამოცანებს, სიმღერებს. ისინი იყვნენ მისი პირველი მასწავ-



სოფიო გულისაშვილი — ლეონიძე შვილებთან. სხედან სიკო და ლევანი, დგანან კევენია, გიორგი და ნინო

ლები, ყვითელქოჩორა ბიჭი, მერე რომ ბერმუხასავით ჩადგა ქართულ ლიტერატურაში. აქაურები იყვნენ მისი საოცარი წიგნის „ნატვრის ხის” გმირები, „ცხარე მეოცნებე” ელიოზი, ნატვრის ხის ძიებაში რომ ამოხდა სული, „სიღარიბით დაქანცული თავილა თაღრია, „უსმინარი, აღმართი კაცი ხვედია”, „დათვურად ნა-

ვლებლები...

„მე მინახია ბევრი ქვეყნები და ქალაქები ათასეული, მაგრამ სუყველგან მე ხელს მიქნედა ჩემი პატარა პატარძელი” — ამ სიტყვების ავტორს არასდროს ავიწყებოდა მშობლიური სოფელი და სადაც უნდა ყოფილიყო, გული ყოველთვის იქით ეწეოდა.



ჩვენი მოავალი მიითხველება

ანი ჯოჯუა

ანი ჯოჯუა სულ ახლახან, 17 აგვისტოს გახდა ხუთი წლის. პატახა ყოფილამ, - იტყვიო, - ჯეხისეთს ხას ნახმოადგენს, სხვებისგან ხომ გამოიჩნეოდესო?! დიახ, პატახა, მაგჩამ ხომ იცოდეთ, ჩამენი ჩამით აჩის დაჯავებული, ჩამენ ჩამეს ასწიხებს, ჩამენი იცის, გაიცდებით.



ჯერ ხომ „ბასტიბუბუს“ სტუდიაში დადის და დაუხარებლად ირჯება - ცეკვავს, მღერის, ვარჯიშობს, დახტის. ძალიან, ძალიან უყვარს თანატოლი ბასტიბუბუკლები და სტუდიის მასწავლებლებიც.

შინ როცაა, წავა, წამოვა და საჭადრაკო დაფას გამოიტანს, თვითონ დააწყობს ფიგურებს და ოჯახის ხან ერთ წევრს ირჩევს მეტოქედ, ხან მეორეს. ანი უკვე ისე გაიწაფა ამ ბრძულ თამაშში, რომ საოჯახო სეანსების მონაწილეები კარგა ხანია მთელი სერიოზულობით ეთამაშებიან. ეშმაკურად მოწკურავს თვალებს, დასწვდება ეტლს იქნება, თუ პაიკს და ისეთ მოულოდნელ სვლას გააკეთებს, რომ საგონებელში აგდეს მოწინააღმდეგეს. სულ იოლად ახერხებს სვლების წინასწარ გათვლას, პოზიციების გამოანგარიშებას.

ოჯახში უკვე ფიქრობენ, რომელიმე გამოცდილ მწვრთნელს მიუყვანონ ანი, ვინ იცის, იქნებ

დიდი მოჭადრაკე დადგეს და ქართული მოჭადრაკე ქალების სახელოვანი ტრადიციები გააგრძელოს. ჭადრაკში მათემატიკური ნიჭიც ძალიან ეხმარება, ანის მათემატიკაც ძალიან, ძალიან უყვარს. ისე სხარტად ანგარიშობს, ისე სწრაფად მომატებს და გამოაკლებს ზეპირად ორნიშნა ციფრებს, სხვები რომ მხოლოდ ქაღალდზე დაწერის შემდეგ ახერხებენ. უთუოდ გაფიქრებინებთ, არა ამ ბავშვის მომავალი ნამდვილად მათემატიკოსობააო. მაგრამ მუსიკაც რომ ძალიან, ძალიან უყვარს და ფორტეპიანოზეც მშვენივრად უკრავს?!

კინალამ დაგვაფიწყდა - ანის ცურვაც ძალიან უყვარს და საუცხოოდ ცურავს. აბა ერთი გადავიფიქროთ, რა დავეწეროთ - ჭადრაკი, მათემატიკა, „ბასტიბუბუს“, მუსიკა, ცურვა... აი ასე, ბატონო! კიდევ იტყვიო, პატარა ყოფილა და ჯერ ისეთს რას წარმოადგენს, სხვებისგან რომ გამოირჩეოდესო?!

ანი ჯიშკარიანი სენაკის საბავშვო ბაღის „ნიფელუსის“ თვალისმომკვრივად კი ადვილად მიხვდებით, რომ ანი ბრწყინვალე ნჭიარა, ძალიან უყვარს თავის მოწონება, სულ კონიაობს, სულ კეკლუცობს. ერთი სული აქვს ხოლმე, ახალ კაბას როდის ჩაიცვამს. დედა რომ საკონცერტოდ ამზადებს, სულ ცქმუტავს, ერთთავად სარკის წინ ტრიალებს, ხან თმის ვარცხნილობა არ მოსწონს, ხან ეჩვენება, რომ ეს ფერი არ უხდება, იტიტიკებს, იმეტიჩრებს, მერე ერთს კისკისით დაბზრილდება და ნები-სმიერ სცენაზე, ნებისმიერი პუბლიკის წინაშე გამოსასვლელად მზად არის. ანი ყოველთვის ერთნაირი ხალისითა და პასუხისმგებლობით მღერის. სცენაზე კი თავი ნამდვილი პროფესიონალივით უჭირავს, არც დაიმორცხვებს, არც დაიბნევა, თავიდან ბოლომდე ისე შეასრულებს სიმღერას, ერთს არ ნაიბოროძიკებს, არც რიტმიდან ამოვარდება არასდროს. ახლა როგორი ჩინებული დეკლამატორია! ყოველ ლექსში მსმენელს მართლ იმით კი არ ხიბლავს, რომ კარგა მოზრდილი ლექსებსაც შეუცდომლად ჩაარაკრავებს ხოლმე, არამედ იმითაც, რომ მის დეკლარაციაში აშკარად იგრძნობა, რომ გოგონა უბრალოდ გაზუბირებულ სიტყვებს როდი წარმოთქვამს, მას გააზრებული, გათავისებულები აქვს პოეტის სათქმელი და პოეტურ სიტყვაში მთელს სულსა და გულს აქსოვს. უამრავი ლექსი იცის დედაზე, სამშობლოზე, ბუნებაზე, დათუ-



ნიებზე, მეღვინეობაზე, ცხრათვალა მზეზე. ანის ცეკვაც ძალიან უყვარს და საუცხოოდ ცეკვავს, განსაკუთრებით ქართული ხალხური ცეკვები მოსწონს, თუმცა თანამედროვე საცეკვაო რიტმებსაც სიამოვნებით აყვება ხოლმე და მთელი გრძობით ასრულებს. ყოველივე ამის შემდეგ განაგასკვირია, რომ გოგონას ხშირად ინვევენ საბავშვო ტელეგადაცემებში, ისე რომ ციციქნა ანი ჯიშკარიანი ტელეეარსკვლავიც ბრძანდება. ვნახოთ, რა მიმართულებით განვითარდება მისი ნიჭიერება, იქნებ ეს პანანინა ვარსკვლავი, დღეს რომ მხოლოდ სენაკში კიაფობს, ქვეყნის კაბადონზე მოკაშვამე ვარსკვლავადაც იქცეს...

ქეთი ხუნჯუა

ქეთი ხუნჯუა მოუთმენლად ელის პატარა ძამიკოს დაბადებას და წამდაუნუნე ეკითხება დედას, ბოლოს და ბოლოს როდის მოხდება ესო, თან პირდება, რომ აუცილებლად დაეხმარება მის მოვლა-აღზრდაში. კიდევ გაურეცხავს, კიდევ აჭმევს, და კიდევ დააძინებს ხოლმე. არ ვიცით, როგორი იქნება ქეთი უფროსი დის როლში, ჯერჯერობით კი ძველებურად ანცობს, მხიარულობს და ხალისობს თანატოლებთან ერთად. მეგობარი საბავშვო ბაღშიც ბევრი ჰყავს და სამეზობლოშიც. ერთად თამაშობენ, ერთობიან, დროდადრო კი ქეთი ყველას სიამაყით შეახსენებს, რომ მალე ძმა ეყოლება და იქვე დასძენს, რომ ძალიან, ძალიან ეყვარება იგი.




ერთთავად დახტის ცეკვავს, კუნტრუშობს. ცეკვა ძალიან უყვარს, კარგადაც გამოსდის. ცეკვისას ყოველი მისი მოძრაობა იმაზე მეტყველებს, რომ მას მშვენიერი სმენა და რიტმის შეგრძნება აქვს, ეს თვისებები სიმღერების შესრულების დროსაც მულავნდება. სიმღერა კი ქეთის ლამის ცეკვაზე მეტადაც უყვარს. ბევრს არავის ახვეწინებს, სთხოვენ თუ არა, გვიმღერეო, ერთს გაიღიმებს და მოიღერებს ყელს, ნაზი ხმით იმღერებს ნაირ-ნაირ სიმღერებს. ერთ წელს კიდევ ივლის ქეთი საბავშვო ბაღში, ხოლო მერე სკოლის კარს შეაღებს და როგორც თვითონ ამბობს, სულ „ხუთიანებზე“ ისწავლის, სულ რომ არაფერი უმცროსი ძამიკოსთვის ხომ მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს.





# ჩვენი

## ბამარჯვებულები



„ნაკადულის“ წინა, მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი ვიქტორინა-ჯონჯუხის შედეგები და გამაჩვენებელი გვაჩვენა. მაისის ბოლო დღეს ჯონჯუხის დაეხატები მოვიწვიეთ, გადავეცი თითოეულ მათგანს მიუხედავად მისი დასახელები ჰქონდა და საჩუქები. ბევრი ვისაუბრეთ, უფრო ახლოს გავიცანით ერთმანეთი, მომავალ თანამშრომლობაზე შევთანხმდით და სამახსოვრო სუბიექტს გადავიღეთ. ნახმოგიდგენთ გამაჩვენებელ „ჭაქის ჯორჯებს“.

ფოსტის გაუმართავი მუშაობის გამო ჩვენს წერილს გვიან ჩაუღწევია გურჯაანამდე და ამიტომ ქატიკან ბიანვილი საერთო შეკრებისათვის დათქმულ დღეს ვერ ჩამოვიდა. მოგვიანებით რედაქციაში ქეთინოს მამა გვეწვია და პრემიაც და საჩუქარიც მან წაუღო შვილს გურჯაანში. იგი დაგვიბრდა, რომ მოკლე ხანში ქეთინოს ჩამოიყვანდა, ან მის სურათს მოგვიტანდა, მაგრამ აღარც ქეთინო გამოჩნდა და აღარც მამამისი. სამაგიეროდ ამასობაში ქეთინოს წერილი მოგვივიდა და გადავწყვიტეთ, ამ წერილის საშუალებით მანც გავაცნოთ ჩვენი მთავარი „ჭკუის კოლოფი“, II პრემიის ლაურეატი.

**გამარჯობათ! დიდად გამახარა თქვენ მიერ გამოგზავნილმა წერილმა, რომელიც დიდი დავიანებით (3 ივნისს) მივიღე. გული დამწყდა, რომ ვერ შევძელი ჩამოსვლა.**

მინდა გითხრათ, რომ მე ფრიადოსანი ვარ, ამასთან ძალიან მიყვარს ვიქტორინებსა თუ კონკურსებში მონაწილეობის მიღება. მიყვარს ახლის ძიება. ვერ წარმოიდგენთ, როგორი გაცრები ვიქტორინების კითხვის პასუხს, ვანახებ ყველას, ვისთანაც ხელი მიმინვდება. გარდა ამისა, მე ძალიან კარგად ვქსოვ და ვქარგავ.

მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ განუვლი შრომისა და ზრუნვისათვის, რასაც თქვენ იჩენთ მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ, ამას ამტკიცებთ „ნაკადულის“ თითოეული გვერდით.

მადლობა თქვენ იმ სულიერი საზრდოსათვის, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ჟურნალის ფურცლებიდან.

მადლობა თქვენ ჩვენთვის. სიხარულის მონიჭებისათვის. დღეს ხომ ეს ძალიან ძნელი მოსაპოვებელია, ირგვლივ ხომ სიბნელი, უმეურება, სიღატაკე, შიმშილი, განუკითხაობა გაშეფებულია...

მადლობა ჟურნალ „ნაკადულის“ მთელ კოლექტივს. დღევრდელი ყოფილიყოს ჩვენი საყვარელი ჟურნალი!

მიყვარხართ, გეფერებით, გკოწიხით!

ქატიკან ბიანვილი.

შეგახსენებთ, **ნინო კობახიძე** მესამე პრემია დაიმსახურა. ნინო თბილისის 141-ე სკოლის V კლასის მოსწავლეა.




იგი ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა სახლის ესპერანტოს კლუბ „ფლოროს“ წევრია და ამ კლუბის უცვლელი ხელმძღვანელის, დიდებული ქალბატონის ლამარა ცუცქერიძის ხელმძღვანელობით ეუფლება ამ საერთაშორისო ენას, სწავლობს სხვადასხვა ხალხის სიმღერებს. ნინო მორიდებული, შრომისმოყვარე და მუყაითი გოგონაა.



მესამე პრემია დაიმსახურა გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის საშუალო სკოლის მეხუთეკლასელმა, **ელისო მღებრიანი**მაც. ელისო ცოდნას მოწყურებული ბევრით, ჩუმი გოგონაა, ბევრს კითხულობს და თვითონაც წერს. მისი პატარა პატარა მოთხრობები, ზღაპრები და ჩანახატები ხშირად იბეჭდება რაიონულ თუ რესპუბლიკურ საბავშვო ჟურნალებში. ერთი მისი ზღაპარი

„ნაკადულშიც“ დაიბეჭდა. ელისო აქტიურად მონაწილეობს შიდა ქართლის საემანვილო გაზეთ „ყაყაოს“ მიერ გამოცხადებულ მოსწავლეთა ოლიმპიადებში. სულ პატარა, პირველკლასელი იყო, როცა ასეთ ოლიმპიადაში პირველად გაიმარჯვა. გოგონა ნორჩ დეკლამატორთა კონკურსებშიც ხშირად მონაწილეობს და ლექსის გულიანი წაკითხვისათვის ყოველთვის გამარჯვებულთა შორის არის ხოლმე. ქალაქ გორში რეგულარულად ტარდება კალიგრაფიის კონკურსი ქალაქისა და რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის, ელისო მღებრიანი ამ კონკურსშიც საუკეთესოთაგანია ხოლმე.



ვიქტორინა-კონკურსის მესამე პრემიის კიდევ ერთი ლაურეატი **ზურაბ შინგალია** ზუგდიდელი გახლავთ. ზურიკო, რომელსაც სულ მალე, 27 ოქტომბერს 13 წელი უსრულდება, ქ. ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის №1 სკოლა-გიმნაზიის მეშვიდე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. მუდმივი სწრაფვა ახლის შეცნობისაკენ, პასუხისმგებლობის გრძნობა და შინაგანი მო-



მაგრამ მოსწავლეთა სახლის გაზეთშიც აქტიურად თანამშრომლობას, ყოველი ნომრის ფოტოებით მომარაგება სწორედ ზურიკოს ავალია.

კიდევ ორმა ზუგდიდელმა მოსწავლემ – **ანა ძიმიტარიშვილმა** და **ლიმიტრი ხარაბაძემ** წამახალისებელი პრიზი მიიღო. ანა ზუგდიდის №1 საშუალო სკოლის მერვე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა. ანას ძალიან უყვარს ლიტერატურა, პოეზია და თვითონაც ცდის კალამს. „ნაკადულის“ მომდევნო ნომერში თქვენ საშუალება გექნებათ მის ლექსებს გაეცნოთ. მთელი თავისი ნაფიქრალი და ნააზრევი ჩააქსოვა ნიჭიერმა გოგონამ მოსწავლეთა რესპუბლიკურ შემოქმედებით კონფერენციაზე წარდგენილ თემებში „კაცად კაცადმან თავისი ტვირთი იტვირთოს“ და „სიცოცხლეს გაფრთხილება სჭირდება“. ანა ძიმიტარიშვილს თემებმა მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

წესრიგებულობა ძალიან ეხმარება ზურიკოს. სწორედ ამ თვისებების წყალობით ასწრებს ამდენს. ხუთი წელია იგი ზუგდიდის მოსწავლეთა სასახლის ნორჩ ინტელექტუალთა კლუბ „ირისეს“ წევრია და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში. ნიჭიერი ყმაწვილი მოსწავლეთა შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციების უცვლელი მონაწილეა. „აკვლავ რეკონ ქართულმა ზარებმა“ და „ვლადკერნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ზუგდიდში“ – ასეთი იყო ის თემები, რომლებმაც კონფერენციაზე ზურაბ შინგალიას I ხარისხის დიპლომები მოუტანა. შარშან კი ზურიკომ საქართველოს განათლების სამინისტროს და საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „მწვანე გზა ტაძრისაკენ“ სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევა და სიგელი მიიღო.

წარმატებებს აღწევს ზურიკო მუსიკაშიც. ნორჩი პიანისტი თანატოლ მუსიკოს-შემსრულებელთა რეგიონალური კონკურსების არ ერთგზის ლაურეატია. მას ბევრი სხვა მუსიკალურ კონკურსსა თუ ფესტივალზეც უსახელებია თავი. მათემატიკა არ დაგვავიწყდეს, ზურიკო ზურიკო ამ საგანშიც ზომ ძალიან ყოჩაღობს, ამ მათემატიკოსთა კონკურს „კენგურუშიც“ არა ერთხელ გაუმარჯვია. ასეთი დატვირთვის მიუხედავად, კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზეც დადის და მალე შესაბამის სერთიფიკატსაც მიიღებს. ხომ ასე დაკავებულია,

ცოდნის წყურვილმა, შემოქმედებითმა ბუნებამ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ მიიფანა გოგონა მშობლიური ქალაქის მოსწავლეთა სასახლის ნორჩ ინტელექტუალთა კლუბ „ირისეში“, რომლის საქმიანობაშიც დღესაც უდიდესი სიამოვნებით მონაწილეობს.

საუცხოო დეკლამატორი რომ არის და ღირსეულად იმარჯვებს მხატვრული კითხვის კონკურსებში, ანამ რედაქციაში სტუმრობისას დაგვიმტკიცა, გრძნობით, ოსტატურად წაგვიკითხა რამდენიმე ლექსი. ადრე ანა ხალხური ცეკვების ანსამბლში ცეკვადა, მაგრამ ამ გატაცებამ გაუარა და ახლა სასახლის ინგლისური ენის სექციაში დადის, მთელი სერიოზულობით სწავლობს ამ ენას.



რედაქციაში შეხვედრაზე ვერც დიმიტრი ხარაბაძე ჩამოვიდა, ამიტომაც მის შესახებ შედარებით ცოტა რამ ვიცით. დიმიტრი მეექვსეკლასელი მოსწავლეა. გარდა იმისა, რომ წარჩინებით სწავლობს, იგი დანარჩენ ზუგდიდელი „ჭკუის კოლოფებივით“ ინტელექტუალთა კლუბ „ირისეში“ გაერთიანებული და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში. დიმიტრის ბევრი რამ აინტერესებს, ამიტომაც ბევრს კითხულობს, ხარბად ეწაფება ცოდნას და ყოველდღე იფართოებს თვალსაწიერს.



შეხვედრა რედაქტორთან



გამოჩენილი ამეხიყელი მწეხარი ჰუბლიცისტი მახუ ცენი (ნამდვილი სახელი და გვარი სემუელ ენგჰაინ ედმუნსი) 1835 წელს ფლორიდაში, ჰიოვინციური მოსამახთლის ოჯახში დაიბადა. მან ლიტერატურულ მოღვაწეობამდე მრავალი ჰიმოფესია გამოიყვანა: იყო ასოთამწყობი, მსახურობდა ჯახში, მუშაობდა გემზე... მახუ ცენმა თავი ისახელა ხოგოხუ ჰატახა მოთხირობების უბადლო მსტატმა.

მისი „ტომ სოიხის თავგადასავალი“, „ჰეკლბუი ფინის თავგადასავალი“, „მათხოვახი და უფლისწული“, და სხვები საბავშვო ლიტერატურის ელასიყად იყა.

მარკ ტვენი

# საპედისწეპო ბუჟთუღა

მოთხრობა

ეს ამბავი ოლივერ კრომველის ხანაში მოხდა. ყველაზე ახალგაზრდა პოლკოვნიკი ინგლისის რესპუბლიკის არმიაში მეიფერი იყო, მას იმ ხანად 30 წელი შეუსრულდა. ახალგაზრდობის მიუხედავად მას ვეტერან ჯარისკაცად თვლიდნენ, რადგან 17 წლის ასაკიდან სამხედრო სამსახურსა და ომებში იყო გამოწოთობილი. მას მრავალ ბრძოლაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, დღითი-დღე წინ მიიწევდა სამსახურში და ამხანაგების გულითადი სიყვარულით სარგებლობდა. მაგრამ ახლა დიდი უბედურება შეემთხვა: მის მომავალს შავი ღრუბელი დააწვა თავზე.

ზამთრის საღამოა. ფანჯრის მიღმა უკუნი და ქარბუქია, სახლში კი მძიმე სიჩუმე ჩამოწოლილა. პოლკოვნიკმა და მისმა მეუღლემ თავისი უბედურება უკვე გამოიგლოვეს, ახლა კი ისღა დარჩენიათ, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ისხდნენ, უყურონ ბუხარში მოვიზიგზე ალს, იფიქრონ და იცადონ. დიდხანს არ მოუხდებათ ცდა, ეს კარგად იცის ორივემ.

მათ ერთადერთი გოგონა ჰყავთ. მათი ხატის და სალოცავი - შვიდი წლის აბი; ახლა წუთი-წუთზე ელიან მის შემოსვლას, აბი ძილის წინ უნდა გამოეთხოვოს მშობლებს, ძილი ნებისა უნდა უსურვოს მათ. პოლკოვნიკმა პირველმა დაარღვია სიჩუმე.

- მოიწმინდე ცრემლები, ბავშვს ჩვენს უბედურებას ნუ დავანახვებთ.

- ოჰ, რომ შემეძლოს, რომ შემეძლოს...

- ჩუ, ჩუ, საყვარელო... მგონი მოდის.

კარებში ღამის პერანგის ამარა, გრძელკუთულებიანი გოგონა შემოვიდა, მამას შემოეხვია. მამამ აიყვანა და კოცნა დაუწყო, - ერთხელ, აკოცა, ორჯერ, სამჯერ...

- მამიკო, არ შეიძლება ასე! სულ გამიჩენე თმები!

- ო, ძალიან მწყინს, ძალიან, ჩემო პატარავ, ხომ მაპატიებ?

- გაპატიებ, რასაკვირველია, მაგრამ მართლა გეწყინა? თუ განგებ ამბობ?

- შენ თვითონ განსაჯე, აბი. - ნეიფერმა ხელები სახეზე მიიფარა და მეტი დამაჯერებლობისათვის ქვითინი ამოუშვა. შეწუხებული გოგონა მამას ხელებზე ეცა.

- ნუ ტირი, მამი, ნუ ტირი. აბი მეტს აღარ იზამს. მამიკო, გეხვეწები!

იგი მთელი ძალით ცდილობდა გაეშალა მამის თითები, ერთი წამით ეს მოახერხა კიდევ, მამის სახე დაინახა და დაიფვირა:

- ახ, შე მატყუარა! თურმე არ ტირი! იგონებ, აი, აბი ახლავე დედასთან წავა. შენთან აღარ ვიმეგობრებ.

გოგონა ჩამოხტა მამის მუხლებიდან, მაგრამ მამამ არ გაუშვა: ნუ წახვალ, მოიცადე, მოიცადე, გენაცვალე, ჩემი ბრალია, მე მართლაც საძაგლად მოგატყუე. მაპატიე და ამის შემდეგ შეგისრულებ ყველაფერს, რასაც მიბრძანებ... ასე დამყარდა მშვიდობა. აბის კვლავ გაებადრა სახე და დაიძახა: „აბა, ზღაპარი, ზღაპარი!“

- ჩუ!

უფროსებს სუნთქვა შეეკრათ, სმენად გადაიქცნენ, ნაბიჯები?! ოდნავ ყურმოსაკრავი ხმაური. სულ უფრო ახლოს, ახლოს, ბოლოს კი პირდაპირ სახლთან ისმის ფეხის ხმა, მაგრამ წამიც და, ხმაური სადღაც შორს ივარგება. უფროსებმა შევებით ამოისუნთქეს. მამამ თქვა:

- ზღაპარი?! მხიარული ზღაპარი?

- არა, არა, მამა, რაიმე საშინელი.

- კარგი. იყო და არა იყო რა, იყო სამი პოლკო-

ენიკი... და აი, ერთი ბრძოლის დროს მათ დანაშაული ჩაიდინეს.

უჩვეულო სიტყვებმა განაცვიფრეს გოგონა. ცნობი-სმოყვარეობისაგან თვალებდაჭყეტილმა მამას მიმართა:

– ეს რაღაც გემრიელი უნდა იყოს, მამა?

მშობლებს კინაღამ გაეღიმათ. მამამ უპასუხა:

– არა, საყვარელო, აქ სხვა ამბავია. მათ გადააჭა-რბეს თავიანთ უფლებებს.

– ამის შეჭმა თუ შეიძ...

– არა, არც ეს იჭმევა. ბრძოლაში, რომელიც უკვე წაგებულ იყო, მათ ცრუ იერიშის ჩატარება უბრძა-ნეს, იმ მიზნით, რომ მტრის მთავარი ძალები მიეზი-დათ და რესპუბლიკის ჯარისათვის უკან დახევის სა-შუალება მიეცათ. მაგრამ ზედმეტ გულმოდგინებაში მათ ბრძანება დაარღვიეს: ცრუ იერიში ნამდვილ იე-რიშად გადააქციეს, აიღეს მტრის სიმაგრე და ბრძოლა მოიგეს. ამ საქციელმა განარისხა გენერალ-პროტე-ქტორი: სიმამაცისათვის პოლკოვნიკები კარგად და-აჯილდოვა, ბრძანების შეუსრულებლობისათვის კი სა-მივე ლონდონში გადმოაგზავნა, სადაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს იცოცხლებენ თუ დაიხრცებიან ისინი.

– ეს დიდი გენერალი კრომველია არა, მამა?

– ღიას!

– იცი, მამა, მე იგი ვნახე! როდესაც ჩვენი სა-ხლის წინ გაივლის ხოლმე თეთრ ცხენზე, თავისი ჯარისკაცებით, იგი ისეთია... ისეთია... სულ ისე იყუ-რება, თითქოს ვიღაცას უწყრებოდეს. რომ იცოდე, როგორ ემინათ მისი! მაგრამ მე სრულიად არ მეშინია. იგი მე ისეთი თვალთ არ მიყურებს, რო-გორც სხვებს.

– უ, შე ენატიკტიკავ! ჰოდა, დაპატიმრებული პო-ლკოვნიკები ლონდონში ჩაიყვანეს, პატიოსანი სიტყვა დაადებინეს და ცოლ-შვილთან გამოსამშვიდობებლად შინ გაუშვეს.

– ჩუ! – უფროსები გაირინდნენ! ისევ ნაბიჯები. გაფითრებულმა დედამ სახე ქმრის ზურგს ამოაფარა. ნაბიჯების ხმა კვლავ მიწყნარდა.

– ისინი დღეს დილით ჩამოვიდნენ ლონდონში.

გაკვირვებულ ბავშვს თვალები გაუფართოვდა.

– როგორ, მამიკო! ეს მართლა ნამდვილი ამბავია?

– კი, საყვარელო.

– სახლში მისვლამდე ისინი ტაუერში იყვნენ, სა-მხედრო სასამართლოზე. სამივე დამნაშავედ სცნეს და დახვრეტა მიუსაჯეს.

– მათ მოკლავენ, მამა?

– კი, მოკლავენ!

– შენ იცნობ მათ?

– კი, საყვარელო!

– ოო, ნეტავ მეც ვიცნობდე, მე მიყვარს პოლკო-ვნიკები. შენ როგორ გგონია, მაკოცებდნენ?

– ერთი მათგანი გაკოცებდა, აუცილებლად გაკოცე-ბდა... მოდი, ახლა მის მაგივრად მე გაკოცებ.

– სასამართლოს გადაწყვეტილებამ ტრიბუნალის ზოგიერთი წევრი ძალზე დააღონა. ისინი წავიდნენ

პროტექტორთან და უთხრეს, რომ მათ თავიანთი ვალო შეასრულეს, რადგან ეს მათი მოვალეობა იყო. მა-გრამ ახლა გულნატკენებმა მუდარა დაუწყეს გენე-რალს, რომ სამიდან მხოლოდ რომელიმე ერთი და-ესაჯა. დისციპლინის განსამტკიცებლად და საერთოდ, ჭკუის სასწავლებლად ერთიც საკმაო იქნებო, ფი-ქრობდნენ ისინი. მაგრამ ლორდი-პროტექტორი ულმო-ბელი იყო. ბოლოს, დიდი მუდარის შემდეგ, თავის ოთახში ჩაიკეტა და მსაჯულებს მოცდა უბრძანა. ოთა-ხიდან გამოსულმა მხოლოდ ერთი წინადადება თქვა: „კენჭი უნდა ვუყაროთ, ორი მათგანი ცოცხალი და-რჩება, ერთი დაისჯება“.

– უი, მართლა ასე გააკეთეს, მამა? რომელი უნდა მოკვდეს? როგორ მეცოდება!

– არა, შვილო, მათ ასეთ კენჭისყრაზე უარი თქვეს. – რატომ?

– ის, ვინც თავის ხელით კენჭს ამოიღებს, თვი-თონვე გამოიტანს თავისი სასიკვდილო განაჩენს, ხოლო ეს თვითმკვლელობა იქნებოდა; ისინი ქრისტიანები არიან, ბიბლია კი უფლებას არ აძლევს ადამიანს თავი მოეკლას. მათ უკან დაუბრუნეს პროტექტორს თავისი სიტყვები და დაუმატეს, რომ განაჩენის აღსრუ-ლებას ელიან.

– ეს რას ნიშნავს, მამა?

– ეს.. ეს იმას ნიშნავს, რომ სამივეს დახვრეტენ!

– ჩუ!



ქარია? არა. ტრამ-ტრამ. ტრამ-რრრ-ბრამ-დამ-დამ-დამ... ფეხის ხმა.

– გენერალ-პროტექტორის სახელით კარი გააღეთ!

– რა კარგია, ჯარისკაცები არიან, მე ისინი ძალიან მიყვარს. მამიკო, მე გავუღებ კარებს რა!

აბი იატაკზე ჩახტა, კარისაკენ გაიქცა და გახარებულმა დაიძახა: – შემოდით! ვაშა! აი, მამიკო, გრენადერები.

ათეული ფეხაწვობილი შემოვიდა და ერთ მწკრივად გაიჭიმა. ოფიცერი დამხვდურებს მხედრულად მიესალმა. უბედური პოლკოვნიკი ადგა და თვითონაც მიესალმა. სულიერი ტანჯვისაგან სასომიხილი ცოლი გვერდში ამოუდგა ქმარს. ბავშვი კი ამ წარმოდგენას მოციმციმე თვალებით უყურებდა...

ხანგრძლივი ხვევნა, გამომშვიდობება და შემდეგ ოფიცრის ბრძანება: „წინ. წინ, ტაუერისაკენ!“ მტკიცე ნაბიჯით გავიდა პოლკოვნიკი სახლიდან, მას ათეული მიჰყვა და კარები გაიხურა.

– დედიკო, რა კარგია! მამა ტაუერში წაიყვანეს, იგი იმ გმირ პოლკოვნიკებს თავისი თვალთ ნახავს! იგი...

– მოდი ჩემთან, ჩემო სულელო, ჩემო სულელო გოგო!

მეორე დილას დარდით გულმოკლული დედა საწოლიდან ვეღარ წამოდგა. ექიმი და მოახლე ერთი წუთითაც არ აცილებდნენ თვალს. სახლში მხოლოდ ჩურჩულით საუბრობდნენ. აბის დედასთან შესვლა, ხტუნვა და თამაში აუკრძალეს – დედა მძიმედ იყო ავად.

თბილ მოსასხამში გახვეული გოგონა სახლიდან გამოვიდა და ქუჩაში დაიწყო თამაში.

უცებ მას თავში აზრი მოუვიდა: „რა უცნაური და უსამართლო ამბავია, რომ ასეთ დროს მამა ტაუერში დატოვეს. დედა ავადაა. რაღაც უნდა ვიღონო“...

ერთ საათში, სამხედრო ტრიბუნალი გენერალ-პროტექტორს წარუდგა. მოღუშული და მკაცრი გენერალი ფეხზე იდგა და წინგადახრილი მაგიდაზე თითებით იყო დაყრდნობილი. იგი უსმენდა. სასამართლოს წევრმა მოახსენა: – „ჩვენ ვთხოვეთ, ვემუდარეთ მათ, მაგრამ კენჭისყრაზე უარი თქვენს“.

პროტექტორს სიბრაზისაგან სახე მთლად გაუშავდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

კარგა ხანს ღუძდა, შემდეგ წარმოთქვა: – „სამივე

არ მოკვდება, კენჭისყრა უნდა შედგეს“... და ბრძანა: – „მომიყვანეთ პატარა ბავშვი, რომელიც პირველად შემოგვხვდებათ ქუჩაში“.

ბრძანება მალე შესრულდა, ჯარისკაცებმა აბი შემოიყვანეს. შემოვიდა თუ არა, უძალ მკაცრი დიქტატორისაკენ გაემართა. გოგონა მუხლებზე აუცოცდა დიქტატორს, რომლის სახელის გაგონებაც კი შიშის ზარს სცემდა ყველას, და უთხრა.

– მე თქვენ გიცანით, სერ, თქვენ ლორდი-პროტექტორი ხართ. ჩემს სახლთან ჩაიარეთ, მაშინ გნახეთ, მე წითელი კაბა მეცვა, აი, ქვევით რომ ლურჯი ზოლები აქვს, გახსოვთ?

პროტექტორს მრისხანე სახეზე ნაზმა ღიმილმა გადაურბინა.

– ააა... მოიცა, მოიცა, გავიხსენე, მგონი...

– მე სახლის წინ ვიდექი, ჩემი სახლის წინ, აბა მოიგონეთ...

– სწორი ხარ, კეთილი გოგო, მე უნდა მახსოვდეს, მაგრამ, იცი...

ბავშვმა ნაწყენი კილოთი გააწყვეტინა: – არა, თქვენ არაფერი გახსოვთ, სამაგიეროდ, მე არ დამავიწყდით.

– ახლა ნამდვილად მრცხვენია, მაგრამ ამის შემდეგ მე შენ არასოდეს დაგივიწყებ, პატიოსან სიტყვას გაძღვე. ხომ მაპატიებ? და ჩვენ სამუდამოდ კეთილი მეგობრები ვიქნებით, კარგი?

– კი, რასაკვირველია, გაპატიებთ, თუმცა არ მესმის, როგორ შეგეძლოთ ყველაფერი ამის დავიწყება. ალბათ ძალიან გულმაიწყი კაცი ხართ, თუმცა ხანდახან ეს მეც მომდის ხოლმე, აუცილებლად გაპატიებთ, რადგან ჩემი აზრით თქვენ კეთილი და კარგი კაცი ხართ, აი ისეთი, როგორც მამაჩემია, მხოლოდ ისე უნდა ჩამიხუტოთ, როგორც მამა ჩამიხუტებს ხოლმე – აქ სიცივეა.

– ჩაგიხუტებ, რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ ჩაგიხუტებ. ამის შემდეგ ჩემი მეგობარი იქნები, არა? იცი, შენ ჩემი გოგონა გამახსენე. ახლა იგი დიდია, მაგრამ ოდესღაც შენსავით კარგი და ნაზი იყო.

– თქვენ იგი ძალიან-ძალიან-ძალიან გიყვარდათ?

– თვითონ განსაჯე, იგი ბრძანებლობდა – მე ვუსრულებდი.

– ჩემი აზრით, თქვენ შესანიშნავი ხართ. გინდათ მაკოცოთ?

– დიდი სიამოვნებით, და ამას უდიდეს პატივად



ჩავთვლი. ეს კოცნა – შენ, ეს კიდევ – ჩემს შვილს. შენ მთხოვე, მაგრამ შეგეძლო ასევე იოლად გებრძანებინა ჩემთვის, რადგან შენ ახლა მის ნაცვლად ხარ აქ და მე შენი ყოველი ბრძანება უნდა შევასრულო.

ასეთმა პატივმა გოგონა ისე გაახალისა, რომ ტაში შემოჰკრა, მაგრამ უცებ მას ჯარისკაცთა მწყობრი ნაბიჯის ხმა მოესმა.

– ჯარისკაცები! ჯარისკაცები, ლორდო-პროტექტორო, აბის მათი ნახვა სურს.

– კარგი, ძვირფასო, მაგრამ ცოტა მოიცადე, მე შენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

ამ დროს ოთახში ოფიცერი შემოვიდა: „ისინი აქ არიან, თქვენო უდიდებულესობავ“, – თავი დახარა და ოთახიდან გავიდა.

ერის თავკაცმა აბის ორი თეთრი და ერთი სისხლივით წითელი ლუქის ბურთულა მისცა. სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა მოუტანოს ერთ-ერთ პოლკოვნიკს სიკვდილი.

– უი, წითელი! რა წითელია, რა ლამაზი, ეს მე!

– არა, მშვენიერო, ეს ბურთულები სხვისია. აი, იმ კარებში, ზურგსუკან ხელეებადაჯვარედინებულ სამკაცს დანახავ. გადი მათთან, თითო ბურთი ჩაუდე ხელში და უკან გამოიქეცი.

პატარა ჯადოქარი კარებში გავიდა და ერთ წუთს ინტერესით ათვალიერებდა სიკვდილის ოთახს, ჯარისკაცთა და მსჯავრდადებულთა გაქვავებულ ფიგურებს. უცებ მას სახე გაებადრა და თავის თავს უთხრა: „ერთი მათგანი მამაჩემია, ვიცანი, მას ხომ ყველაზე ლამაზი ზურგი აქვს“. ხტუნვით მიუახლოვდა, კისკისით გაყო თავი მამის მკლავებზე და დაიძახა:

– მამა, მამა! უყურე რა გაქვს ხელში. ეს მე მოგეცი!

მამამ დახედა წითელ ბურთულას, შემდეგ დაიჩოქა და თავის უნებლიე ჯვალათს მოეხვია.

ჯარისკაცები, ოფიცრები და გადარჩენილი პატიმრები, ერთ წუთს გაქვავებულნი იდგნენ, შემდეგ თვალები ცრემლით ავესოთ. ტიროდნენ ვაჟკაცები და არც ერთს არ სცხვენოდა თავისი ცრემლებისა. რამდენიმე წუთის განმავლობაში არავის დაურღვევია ეს მოკრძალებული სიჩუმე. ბოლოს, განწირულ პატიმართან ოფიცერი მივიდა და უთხრა:

– ძალიან ვწუხვარ, სერ, მაგრამ ჩემი მოვალეობა უნდა შევასრულო.

– მოვალეობა? რა მოვალეობა? – ივითხა ბავშვმა.

– უნდა წაიყვანო!

– არა, თქვენ ამას არ გააკეთებთ. დედაჩემი ავად გახდა და მამა მალე სახლში უნდა იყოს.

აბი მამას ხელიდან გაუსხლტა, მოუარა, ზურგზე შეახტა და ხელები ყელზე შემოხვია.

– წავიდეთ, მამი, აბი უკვე მზად არის.

– საბრალო ჩემო შვილო, მე შინ ვერ წამოვალ, მე ამათ უნდა გავყვე.

გოგონა ძირს ჩამოხტა. გოცნებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა. შემდეგ ოფიცერთან მიიბრინა, გულმოსუ-



ლმა ფეხი იატაკს დაჰკრა და დაიყვირა:

– მე ხომ გეუბნები, რომ დედაჩემი ავადაა. თქვენ უნდა გესმოდეთ, რასაც გეუბნებიან. ვალდებული ხართ.

– ო, საბრალო გოგონა! ღმერთო ჩემო, რომ შემეძლოს... მაგრამ მე უძლური ვარ... ათეულო, ყურადღება!.. სწორდით!

აბი უცებ გაქრა ოთახიდან და იმწამსვე უკან შემობრუნდა: ლორდ-პროტექტორს ხელში ჩაფრენოდა და თან მოჰყავდა. მის დანახვაზე ყველა იქ მყოფი გაიჭიმა. ოფიცრები მხედრულად მიესალმნენ.

– შეაჩერე ესენი, სერ! დედაჩემი ავადაა, მამას ნახვა უნდა. მე მათ ვუთხარი, მაგრამ ისინი არ მიჯერებენ და მამა მაინც მიჰყავთ.

– მამაშენი? ეს შენი მამაა?  
– რასაკვირველია. იგი ყოველთვის ჩემი მამა იყო. ნუთუ მე ყველაზე ლამაზ წითელ ბურთულას სხვას მივცემდი?

პროტექტორს სახეზე უდიდესი შეშფოთება გამოესახა. მონანიებით ჩაილაპარაკა.

– ო, ღმერთო, შენ მიშველე. ეშმაკის ჩაგონებით ისეთი ცოდვა ჩავიდინე, რომლის მსგავსი ადამიანს არასოდეს ჩაუდენია და თან არაფრის გაკეთება არ შეიძლება, არაფრის. რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

ნაწყენმა აბიმ მოუთმენლად წამოიძახა:  
– რატომ არ უბრძანებთ მის გათავისუფლებას? – და აქვითინდა – თქვენ დამპირდით, შენ მიბრძანე და მე შევასრულებო, პირველსავე თხოვნაზე კი უარს მეუბნებით.

პროტექტორის მკაცრ სახეს ნაზმა ღიმილმა გადაურბინა. მან პატარა დესპოტს თავზე ხელი დაადო და თქვა: საოცარო ბავშვო, გმადლობ, რომ პირობა შემამსხენე.

– ოფიცერო! შეასრულეთ გოგონას ბრძანება – იგი ახლა ჩემი სახელით ლაპარაკობს. პატიმარი შეწყალებულია! გაათავისუფლეთ იგი!

თარგმნა ზ. ლეშაშვილმა



ცხრა წლის სიმონ ნატრაძის ლექსები სრულიად შემთხვევით მოხვდა ჩვენთან. ისინი რედაქციაში ო. ლულუშაურის სახელობის ნაციონალური სამედიცინო ცენტრის თანამშრომლებმა მოიტანეს, ბიჭუნა აქ შეგვიდან ჩამოიფეხანეს მოტეხილი ხელის სამკურნალოდ. ნიჭიერმა, საოცრად ცნობილსეფარე და გონიერმა, ხალისიანმა სიმონმა ყველას გული მოინადირა, ნუნუ ექიმს კი მადლობის ნიშნად საკუთარი ლექსები აჩუქა.

სიმონი ყაზახეთში, ქალაქ ყარათაუში დაიბადა. სამ წლამდე საქართველოში ცხოვრობდა, მერე კი ოჯახთან ერთად ყაზახეთში დაბრუნდა. სამი წლისამ ისწავლა წერა-კითხვა, ოთხი წლიდან დადის მუსიკალურ სკოლაში და კარატეზე. ხუთი წლისა სკოლაში შეიფეხანეს. ექვსი წლის იყო, როცა ასტრონომიამ და ჭადრაკმა გაიტაცა. შეიძინა წლისამ ლექსებისა და მუსიკის წერა დაიწყო. სიმონი ხატავს კიდევ, ბევრ თავის ლექსსა და ნამუშევარს თვითონვე ასურათებს. ძალიან უყვარს კითხვა, განსაკუთრებით სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა. იცის ბიბლიური სიუჟეტები, მითები და ლეგენდები.

ლექსები, რომლებსაც ჩვენს ჟურნალში ვბეჭდავთ, სიმონმა რუსულად დაწერა. მათი თარგმნისას ჩვენ შევეცადეთ შეგვენარჩუნებინა ავტორის სიწრფელე, საგანთა და არსებობა ხედვის და აღქმის თავისებურება.

**ქალწული**

(ციკლიდან „**ლემსები**  
**თანაპარსკვლაველებზე**“)

მშვენიერო ქალწულო -  
მზეთუნახავთ დედოფალო,  
ხელში თავთავი გიპყროია,  
როგორც ოქროსფერი თმა!  
რად ამბლღდები  
და გაგვაფრთხილებ: ხვნის დრო არისო,  
ყანენი მნიფსო მთელ მსოფლიოში -  
მოსავლის აღების დრო არის უკვე,  
ერთი, ძმობილო, ღვინო დამისხი!  
მეხე, ვით ბრწყინავს ზეფაში სპიკა!  
(სპიკა ბერძნულად თავთავს ნიშნავს)  
2001 წელი

**შპრილი**

გამარჯობა, საქართველო!  
Здравствуй, Грузия моя!  
როგორა ხარ, მშობლიურო,  
უჩემოდ ხომ არ მოინყინე?  
მე გავიზარდე, დიდი ბიჭი ვარ,  
სულ შევისწავლე მთელი სამყარო,  
პაპა და ბებო, კარგად მახსოვხართ,  
აი ქართული კი დამავინყდა!  
ყაზახურს ვსწავლობ,  
მესამე კლასში ვარ,  
კომპიუტერზე ქართულ სახლს ვხატავ,  
თქვენც გხატავთ ყველას.  
რა გამოვიდა - მხოლოდ ჩემზე გწერთ?!  
ახლა თქვენა თქვით, რა ხდება თქვენსა?  
როგორა ხართ? როგორა რხოვრობთ?  
როგორი ამინდებია, მეგობრები  
როგორ არიან?  
ვირი, ღვინოს სვამთ, როგვ კითხულობთ,  
დიდ სიხარულს გრძნობთ,  
მე კი გამოვცდები - ხშირად მტყუპავ-  
ვენ.  
თქვენი სიმონი, გკოწნით სუყველას.  
2000 წელი.

**სტაქვი**

ო, ჩემი სტეპი!  
ო, ჩემი სამშობლო!  
ო, ეს ყვითელი ქვიშა,  
და ჩემი ალალი აქლოები  
სტეპში დამატარებს, დამასეირნებს,  
ჩემი ძალღიერ სიხარულით ყეფს,  
ჭოროლოები რაში ვალობენ,  
მინავლებული ნაკვერხლოებიერ  
ჩუმად ინვიან.

2000 წელი



# რაცოდ ვაძვობთ ასე?

კარის ყურთამდე ბაღება – ძველად კარებს ანჯამები არა ჰქონია. ერთიანი კარი ჩარჩოში მაგრდებოდა ზევით და ქვევით წათლილი რიგების საშუალებით, რომლებსაც ყურები ერქვა. კარი სრულად რომ გაიღებოდა, ეს ყურები გამოჩნდებოდა, მაშასადამე, თქმა „კარი ყურთამდე, ყურებამდე გაიღო“ ნიშნავს კარის ყურების გამოჩენას, ე. ი. კარის სულ, ფართოდ გაღებას.

**შაბზე ნაპილა** – მოკვდა. რადგან ძველად თბილისის დაბახანებში ტყავეულობის გამოსაქნელად საჭირო შაბი საქართველოში არ მოიპოვებოდა, იგი განჯიდან მოჰქონდათ. იმ დროს რეინიგზა ჯერ არ იყო გაყვანილი და შაბს ურმებით ეზიდებოდნენ. შაბზე წასულებს გზაში უამრავი ხიფათი ელოდათ, ხშირი იყო ყაჩაღთა შეიარაღებული თავდასხმები, ძარცვა, კვლა, ამიტომაც „შაბზე წასვლა“ სიკვდილის სინონიმად იქცა და დღესაც კი თუმცა იშვიათად იხმარება, მაგრამ გამოთქმა „შაბზე წავიდაო“ სიკვდილს ნიშნავს.

**შენ ვინა გკითხავს, ბაირამა დაჩულებო** – არამკითხეობა, რაც შენი საქმე არ არის, იმაში რატომ ერევი. ბაირამა ერთი ქიზიყელი კაცის კამეჩს რქმევია. ზამთარში, თურმე, რომ არ შესცივნიოდა, ის კაცი კამეჩს ჩულს ან ძველ ქეჩას აფარებდა. მეზობელს, რომელსაც არაფერი ესაქმებოდა ამ გლეხის კამეჩთან, უკითხავს: ბაირამა ხომ დაჩულებო? კამეჩის პატრონს არამკითხესთვის ასე შეუღრენია: „შენ ვინა გკითხავს, ბაირამა დაჩულებო“.

**შენს თონეში ჭინჭარიც ამოსულაო!** – შენი ოჯახი ამოწვევტილიყოს, შიგ ცოცხალი არავინ დარჩენილიყოს! ეს უდიდესი წყევლაა და გულისხმობს ოჯახის დედა ბუღიანად ამოწვევტას, რადგან ჭინჭარი მაშინდა შეიძლება ამოვიდეს თონეში, როცა მას აღარ ახურებენ, შიგ პურს აღარ აცხობენ. ეს კი მაშინაა შესაძლებელი, როცა თონეს პატრონი, გამხურებული, პურის გამომცხობელი აღარ ეყოლება.



## სიტყვის კონცე

- მიტკალი**
  - ბამბის თეთრი ქსოვილი ნაროში
  - მსხვილად ნაფქვაკი (გადატანილი მნიშვნელობით – დაუკვირვებელი ნათქვამი).
- ნაფთავი**
  - ცელის ერთი მოსმით მოთიბული ბალახი.
- ნაშარი**
  - ხეზე ავადმყოფური ამონაბურცი.
- ორფიშო**
  - დაკლული საქონლის გატყავებული და გამოშიგნული მთლიანი ტანი.
- შვაპი**
  - წვიმის ჩამონაწვეთი ხის ფოთლებზე – ლეშხი.
- შიქო**
  - ახლად თავჩენილი ბალახი.
- კილი**
  - მცირე ნაკლი
- ტატყაპი**
  - მსხვილი, სქელი, ფართო ხელები ან ფეხები.
- ტიტიზი**
  - ბროწეულის ნარჩვევი ქერქი; იყენებენ შესადებად.
- თოფრა**
  - პატარა ტომარა
- ნყრთა**
  - ხელის ნაწილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე
- ჭიუხი**
  - შიშველი, წვეტებიანი კლდე

ქველი რომი. 44 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე. 15 მარტი

რომელთა მიერ ღმერთთან გათანაბრებულ, სამშობლოს მამად შერაცხულ იულიუს კეისარს ბოლო დროს უზომო გულზვიადობა და ქედმაღლობა დასჩემდა. მრავალრიცხოვანი მოკვითენი და ერთგულნი ამასაც პატიობდნენ, მათ თვალში კეისარის ბრწყინვალე გამარჯვებები, ვაჟკაცობა, სიუხვე, საკუთარ ხალხზე ზრუნვა, შემწყნარებლობა ყველა მის ნაკლსა თუ შეცდომას ჩრდილავდა. ორგულები და მოშურნეები კი დასამხოზად იმეტებდნენ.

ყველა დიდი თუ პატარა ცოდვა გაუხსენეს, ხელზე დაიხვიეს, გაკანდიერებული თვითმპყრობელი კეისარი თავის მეფეს გამოცხადებას აპირებსო, ხალხში ხმა დაურჩიეს, დედაქალაქის და შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების ალექსანდრიაში ან ილიონში გადატანას ფიქრობსო, განზრახული აქვს რომის გამგებლობა თავის მეგობრებს დაავალოსო, ჯარში განვევებით იტალიის დასუსტება უნდაო...

რომის რესპუბლიკაში უკმაყოფილება იზრდებოდა, იულიუსის სიჭულვილით გაერთიანებულ შეთქმულთ კი ძალა და გამბედაობა ემატებოდათ.

კეისარის სანინაალმდეგო შეთქმულებაში, რომელსაც სათავეში გაიუს კასიუსი, მარკუს ბრუტუსი და დეციმუს ბრუტუსი ედგნენ, სამოცზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. კეისარის მოკვლა გადანყვეტილი იყო, ახლა დრო და ადგილი უნდა შეერჩიათ. ყოყმანობდნენ, მარსის ველზე დასხმოდნენ თავს კეისარს, როცა იგი ტრიბებს კენჭის საყრელად მოუხმობდა, წმინდა გზაზე თუ თეატრში. მაგრამ როცა გაიგეს, რომ მარტის იდეებში სენატი პომპეუსის კურიაში შეიკრიბებოდა, გადანყვიტეს სწორედ იქ მოეკლათ კეისარი სენატის თვალწინ და ყველასთვის შეეხსენებინათ, როგორ მოკლეს პირველი მეფე რომულუსი, როცა იგი ტირანი გახდა.

იულიუსს კი ამასობაში მრავალი უტყუარი მომასწავებელი ნიშნით ეუწყა ძალმომრეობითი სიკვდილის მოახლოება, მისანმაც ურჩია მარტის იდეებში (იუპიტერის დღეებში) საფრთხეს ერიდეთ და მან და ერთი პირი იმ დღეს სენატში წასვლა გადაიფიქრა, მაგრამ დეციმუს ბრუტუსმა

დაიყოლია, ხალხმრავალ კრებას შენი ხილვის სიხარულს ნუ მოაკლებო. წავიდა. გზად ვილაც უცნობმა ბარათი მიანოდა, აბა რა იცოდა, რომ თურმე შეთქმულების ამბავს აცნობებდა, ის ბარათიც დანარჩენებს მიამატა, მარცხენა ხელში რომ ეჭირა და პომპეუსის ქვის თეატრის მიმდებარე შენობაში შეაბიჯა. სენატორები ფეხზე ადგომით მიესალმნენ. როგორც კი კეისარი დაჯდა,

შეთქმულები შემოეხვივნენ, ნაწილმა მისი სავარძლის უკან დაიკავა ადგილი, ტილიუს ციმბერი მიეახლა, ვითომდაც შერისხული ძმის შეწყალება უნდა ეთხოვა კეისარისათვის. იულიუსმა უარი უთხრა და ხელით ანიშნა, მოითმინეთ, მაშინ ტილიუსი ტოგაში სწვდა. კეისარმა ერთი კი შეჰყვირა, ეს უკვე ძალადობააო, მაგრამ ამ დროს კასკამ კეფის ქვევით ჩასცა მახვილი. გაოგნებული კეისარი კასკას ხელში სწვდა და სხვა იარაღი რომ არ ჰქონდა, გრიფელით დაჭრა. მაგრამ ამ დროს სხვა შეთქმულმა ფერდში აძგერა მახვილი, კასიუსმა — სახეში, მარკუს ბრუტუსმა — საზარდულში, ვილაცამ — ბეჭებში... მისკენ ყველა



მხრიდან მიმართული მახვილები რომ დაინახა, განწირულმა კეისარმა თავზე ტოგა წაიფარა. 23 დარტყმით განგმირეს, თუმცა როგორც მერე გაირკვა, სასიკვდილო მათგან ერთადერთი ყოფილა. მხოლოდ პირველი დარტყმისას აღმოხდა გმინვა, ხოლო როცა შეთქმულთა შორის მარკუს ბრუტუსიც დაინახა, გამორჩეულად რომ უყვარდა, ასე უთხრა: „შენც, შვილო ჩემო?“

მოკლული კეისარი კარგა ხანს ეგდო პომპეუსის ქანდაკებასთან, მერე კი სამმა მონამ ტახტრევანზე დაასვენა და შინ წაასვენა... მრავალი წლის შემდეგ კეისარის მემკვიდრემ და რომის იმპერიის დამაარსებელმა ავგუსტუსმა ფორუმის ცენტრში იმ ადგილზე, სადაც კეისარის ცხედრის დანვის რიტუალი აღასრულეს, ღვთაებრივი იულიუსის მარმარილოს ტაძარი ააგო. იულიუსის საპატივცემულოდ რომის იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე ყველა იმპერატორი კეისარის სახელს ატარებდა: იგი საზოგადო სახელად, ტიტულად იქცა...



ხალხის მოტყუებმა,  
სულ ამას გაიმახიან,  
ფლეს პირველი აპრილია.  
აპრილი მანამდე იქნა,  
მათთვის ისევ აპრილია  
და მოტყუებარ ადვილია.



ლუა მესხია ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეა. უყვარს თეატრი, ქართული ხალხური სიმღერები, გატაცებულია ხატვით. მღეიოდ ანსამბლ „ღამაჟეაში“, ამჟამად მოზაჟე მამულებელთა თეატრის ბავშვთა სკულის წევრია.

**ციცი**

ღამესიზმრა,  
ვიყავ ფიქტი,  
ღამაზი რაში  
ღალად მივქრი.  
არ მატვს ფიქრი  
არ მატვს სევდა,  
მე ყველაფერს,  
ღალად ვხედავ.  
მე ვარ ფიქტი,  
ღალად მივქრი,  
არ მატვს სევდა,  
არ მატვს ფიქრი,  
მე ჰაერში  
ღალად მივქრი.

\*\*\*

საქართველოს მომავალზე  
ფიქრობს ჩვენი ხალხი?  
ურჩევნიათ აგარაკზე  
აიშენონ სახლი.  
სახლის აშენება,

**ქარის სიმღერა**

ქარი სიმღერებს ფაქიზად მღერის,  
ქუჩაში ვიღარ ვიღარას ელის,  
ვიღარა წაკვავს, ვიღარა მღერის,  
ვიღარა კიდევ აღარ მოელის.  
ქუჩაში მირბის ძაღლები ხროვა,  
ყვავა, ყმული,  
ვიღარა მოვა... ვიღარა მოვა...  
ვიღარა უსტვენს, ვიღარა კივის,  
ვიღარა უკვე დასტვენილია,  
ღამაზი ნუთი, ღამაზი ნამი,  
ღამაზი ფლე კი სულ მიილია.  
ქარი სიმღერებს ფაქიზად მღერის,  
ქუჩაში ვიღარ ვიღარას ელის,  
ვიღარა წაკვავს, ვიღარა მღერის,  
ვიღარა კიდევ აღარ მოელის.  
აფხაზეთს და სამაჩაბლოს  
საქართველო ვეღარ ხედავს,  
იგი ხედავს კუდის ქიწინს  
და სამაჩაბლოს ვეღარ ხედავს.

**რამი**

მთაშია თუ მარში  
მიქრის თეთრი რაში,  
ღარი არის, თუნდაც ქარი,  
არ ჩერდება მიპქრის ქარშირ.  
მიქრის, გლეჯს  
და არ ჩერდება,  
გაჩერდება -  
სახტად რჩება.  
ფროა ფიქრის,  
ფროა ტვირთის,  
ფროა, ტვირთო  
შენზე ფიქრი.  
რატომ მივქრი,  
რისთვის მივქრი,  
ვერ გავიგე  
და ვერ ვიტყვი.  
ფროა ფიქრის,  
ფროა ტვირთის  
ფროა ფიქრის?  
არ ჩერდება  
ქარშირ მიქრის.



ქვაზერეგელმა ანა მღებრიშვილმა ჰ. ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“ წაიკითხა და გადაწყვიტა თავისი შთაბეჭდილებები ნახატებით გადმოეცა.

ბიძია  
თომა

# წიგნები, მარკები, თასები, მონეტები...

მსოფლიოში ყოველთვის მრავლად იყვნენ კოლექციონერები, ადამიანები, რომლებიც რაღაცას აგროვებენ. კოლექციონირებას დღესაც უამრავი ვინმე მისდევს. ეს გატაცება უძველესი დროიდან იღებს სათავეს.

თავგამოდებული ბიბლიოფილი ყოფილა ასურეთის მეფე ასურბანიპალი (668-631 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელმაც ერთ-ერთ თავის სასახლეში ასურეთის დედაქალაქ ნინევიამი ძველი დროის უდიდესი ბიბლიოთეკა შეაგროვა. ამ ბიბლიოთეკის აღმოჩენმა არქეოლოგმა ლეიარდმა აქ 20 ათასზე მეტი „წიგნი“, ლურსმული დამწერლობით დაფარული თიხის ფირფიტა დაითვალა.

წიგნების შეგროვებით იყო გატაცებული რომის იმპერატორი იულიანე (931-363). მისი მეცადინეობით კონსტანტინეპოლის საჯარო ბიბლიოთეკა 120 ათასი ხელნაწერით გაძიდებდა. ამ წიგნთსაცავში დაცულ ხელნაწერთა შორის მემატრიანეები ასახელებენ 120 ფუტი სიგრძის დრაკონის ტყავს, რომელზეც პომპროსის თხზულება და ბერძენთა ისტორია ყოფილა დაწერილი.

მარკების შეგროვებით, ფილატელით იყო გატაცებული დიდი რუსი ფიზიოლოგი ივანე პავლოვი. ერთხელ ავადმყოფმა პავლოვმა ექიმს გამოუცხადა: „ჩემს ჯანმრთელობაზე მარკები ბევრად უკეთესად მოქმედებს, ვიდრე თქვენი ბრომი“. კოლექციონირებას პავლოვი ნებისყოფის სკოლას უწოდებდა. დიდი მეცნიერი მარკების შეგროვებას აქტიური დასვენების ფორმად მიიჩნევდა და ამბობდა, რომ კოლექციის შეფასება-თვლიერებაში გატარებული საათები შეემცენებით აღსაუესე დასვენების საუკეთესო საათებია.

თავგამოდებული ფილატელისტი ყოფილა ანტონ ჩეხოვიც, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე აგროვებდა მარკებს.

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი სიჭაბუკეში იმდენად ყოფილა გატაცებული საფოსტო ნიშნების შეგროვებით, რომ თურმე კოლექციით ხელში ბებერ სოჭზე ადიოდა ხოლმე, თავს საოკეანო ხომალდის კაპიტანად წარმოიდგენდა და ოცნებით შორეულ ქვეყნებში მოგზაურობდა. რუზველტი პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც აგრძელებდა მარკების შეგროვებას და სიცოცხლის ბოლომდე გულმოდგინედ ავსებდა თავის კოლექციას.

ფილატელისა და თასების საუცხოო კოლექცია ჰქონდა რომაელ სენატორსა და პოეტ-სატირიოსს გაიუს პეტრონიუსს (გარდაიცვალა 66 წ. ჩ. წელთაღრიცხვა-

მდე). პეტრონიუსს კოლექციის მშვენებად მიანდა ბროლის ერთი ორიგინალური თასი, რომელსაც განსაკუთრებით უფრთხილდებოდა. ამ თასის ქება ახირებულობით და სისასტიკით ცნობილ იმპერატორ ნერონის სქენასაც მისწავდა. ნერონმა კოლექციონერ პოეტს შიკრიკის ხელით ბრძანება გაუგზავნა: თუ იმპერატორის საწინააღმდეგო შეთქმულებაში ეჭვმიტანილი პეტრონიუსი ამ თავის იშვიათ თასს ნერონს, არ დაუთმობდა, მას უნდა მიეღო საწამლაკი, რომელიც იმავე შიკრიკის ხელით ეგზავნებოდა. ამაყმა და საუეთარი პრინციპების ერთგულმა კოლექციონერმა თავისი საყვარელი თასი ქვის იატაკზე დაანარცხა, შიკრიკის მისთვის განკუთვნილი საწამლაკი ჩამოართვა და უხმოდ შესვა.

ორიგინალური გატაცება გაუჩნდა 1815 წლის 18 ივლისს ვატერლოოსთან განცდილი მარცხის შემდეგ წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებულ ნაპოლეონ ბონაპარტეს (1769-1821). საფრანგეთის დამხობილი იმპერატორი კალის ჯარისკაცების ფიგურებს აგროვებდა. მათი საშუალებით კი თავის სტუმრებს მისი გენერლების მიერ ევროპაში წარმოებულ ბრიოლებში დაშვებულ შეცდომებს უჩვენებდა.

უამრავი სხვადასხვა სახის კოლექცია ჰქონდა გენიალურ პოლანდიელ მხატვარს რემბრანდტს. მისი ოთახები სავსე იყო სურათების, გრაფიკების, იშვიათი წიგნების, ნიჟარების, ცხოველთა ფიგურების, ფრინველთა ფრთების, ველურ ტომთა მძივების, მონეტების, იარაღის, ძვირფასი და ორიგინალური ჭურჭლის კოლექციებით, რომელთა შესაძენად მან თავისი ცოლის მთელი ქონება დახარჯა.

მთელი სიცოცხლე აგროვებდა ნიჟარებს, მცენარეებს, მონეტებს, შტემპელებს, მინერალებს დიდი ინგლისელი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი (1809-1882).

წლების მანძილზე რუდუნებით ნაგროვები ძვირფასი ხელნაწერების, იშვიათი გამოცემების, უმდიდრესი კოლექცია - 60 ათასი წიგნი და ბეჭდვითი ერთეული გადასცა, საჩუქრად საქართველოს სახალხო პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.

პლანეტის პირველ კოსმონავტს იური გაგარინს კაქტუსების საუცხოო კოლექცია ჰქონდა. დიდი რუსი მწერალი ივანე ტურგენევი ჭადრაკის კომპლექტების კოლექციონირებით იყო გატაცებული, მწერალი მიხეილ ბულგაკოვი კი მთელი სიცოცხლე თეატრის ბილეთებს აგროვებდა.

## კოლექციონერის

### ლექსიკონი

**ბიბლიოფილი** - იშვიათი, ძვირფასი გამოცემების კოლექციონერი  
**ბუნისტია** - მიმოქცევიდან ახლებული ქაღალდის ფულის ნიშნების, აგრეთვე ბონების და ფიდევისა და გადახდის საშუალების სახით გამოშვებული სხვა ქაღალდების შეგროვება.

**ვიტაფილია** - სიგარეტებზე გაკეთებული საფირმო ნიშნებიანი ან ემბლემატიანი ქაღალდის რგოლების შეგროვება.

**იქონობრაზია** - რომელიმე პერსონაჟების (რეალური თუ ლეგენდარული) ან სიუჟეტური სცენების ამსახველი პორტრეტებისა და სურათების, მათი რეპროდუქციების, გრაფიკების, ლიტოგრაფიების, სკულპტურული გამოსახულებების კოლექციონირება.

**ფილოფონია** - ბგერითი ჩანაწერების (მაგალითად, მუსიკალური) შეგროვება.

**ქონოკლავილია** - გასაღების ბრელოკების შეგროვება. (ბრელოკი ფრანგული სიტყვაა და „სამშვენიის“ ნიშნავს), ადრე ბრელოკებს უკეთებდნენ საათებს, სამაჯურებს, მარაოებს, ლორწოებს.

**ქონიოფია** - ნიგარების კოლექციონირება.

**მსარეფილია** - სხვადასხვა სახის ეტიკეტების (მაგ. ღვინოების იარლიყების, კანფეტის ქაღალდების და სხვ.) შეგროვება.

**ქონოპარტიკა** - ტურისტული ეტიკეტების (სანტუმროს, ავტომანქანების, აეროფლოტის და სხვ.) შეგროვება.

**ნუმიზმატიკა** - მონეტების შეგროვება, მათი, აგრეთვე მოჭრის და მიმოქცევის ისტორიის შესწავლა. ეს კოლექციონირების ვეულაზე ძველი და გაგრძელებული სახეა.

**პერიოდოფილია** - რკინიგზის სამგზავრო ბილეთების შეგროვება.

**სტრიკოფილია** - გაუფასურებული ობლიგაციების, გაუქმებული ფირმების და კომპანიების აქციების შეგროვება.

**ფილატელია** - საფოსტო ნიშნების, მარკების, მარკიანი, შტამპიანი კონვერტების შეგროვება.

**ფილშეპინია** - ასანთის კოლოფის ეტიკეტების შეგროვება.

???

ოდესღაც, უძველეს დროში დედამიწაზე ქვეწარმავლები ჭარბობდნენ, მერე და მერე ისინი ფრინველებმა და ძუძუმწოვრებმა დაჯაბნეს. დღემდე შემორჩენილია ქვეწარმავალთა რათასამდე სახეობა. ქვეწარმავალია კუცკუს ქვეკლასი აერთიანებს ბასრი და ძლიერი რქოვანი ყბებით შეიარაღებულ ხმელეთისა და წყლის უკბილო ქვეწარმავლებს, რომლებიც ამასთან ნაწილობრივ ძვლოვანი მტკიცე ჯავშნითაც არიან აღჭურვილები.



მტკნარი წყლების ბინადარი ეს გრიფი კუ არც ისე ადვილი ასაყვანია ხელში – ჯერ ერთი იგი 60 კილოგრამს იწონის, გარდა ამისა, ძალზე ბრაზიანია

და თავდაცვისას გააფთრებით იკბნება.

შესახედადაც შიშის მომგვრელია – უზარმაზარი თავი, გადმოკარკლული თვალები, დიდი პირი და ბასრი ყბები, ძლიერი ბრჭყალებით აღჭურვილი თათები.

???

# რისიკები გოგონებს

## მეუტი მეუტი, ჩემის ჩემი

სიკამხრე მოღაშია და ისევე, როგორც დანარჩენში, თქვენი თანატოლი გოგონებიც ცდილობენ არ ჩამორჩნენ და ფეხი აუწყონ იმას, რაც უფროსებისთვის მოღური გამხდარა. როცა დედის თუ უფროსი დის შემხედვარე, 12-13 წლის გოგონებიც ჩუმ-ჩუმად იწყებენ ფრჩხილებზე ლაქის წასმას ან სუნამოს ხმარებას, ამაში საძრახისი არაფერია, მაგრამ როდესაც იგივე გოგონები, რომლებიც 35 კილოგრამს იწონიან, თვითონვე ინიშნავენ დიეტას და ცდილობენ 5-6 კილო მინც დაიკლონ, ეს უკვე საგანგაშოა. გვინდა იცოდეთ, ლერწმის ტანზე მეოცნებე გოგონებო, რომ დიეტობანას თქვენს ასაკში შეიძლება ძალზე საეკალალო შედეგი მოჰყვეს. ამის დასტურად თუნდაც თქვენი პოლონელი თანატოლების მაგალითიც გამოდგება (სხვათა შორის, ბოლო დროს პოლონეთში მოზარდებში გავრცელებული ანორექსია – გახდომისკენ დაუოკებელი სწრაფვა სერიოზულ შემოფოტებას იწყებს).

15 წლის ვარშაველი აგნესა ყოველთვის გულშემოყრილი ტრი-ალბა და სარკის წინ. დარწმუნებული იყო, რომ ასეთ ზონზროხა გოგონს (აგნესა 50 კგ-ს იწონიდა!) ზედ არცერთი ბიჭი არ შეხედავდა, დისკოთეკაზე მასთან ცეკვას ხომ საერთოდ არავინ მოინდობებდა. სხვა რომ ვერაფერი მოიგონა, აგნესამ გახდომა გადაწყვიტა და თვითონაც ვერ შეამჩნია, როგორ გადაიზარდა უწყინარი გამლის დიეტა საერთოდ ყოველგვარი საჭმლის ზიზღში.

ჯერ ვახშამზე თქვა უარი. გაკვირვებულ მშობლებს კი ასე უხსნიდა, გადაწყვიტე ერთი თვე „ვიმარხულო“, ერთი-ორი კილო დაიკლო. მშობლებმა ჩათვალეს, რომ ეს სადი და უწყინარი გადაწყვეტილება იყო – რა არის იმაში ცუდი, თუ მათი 15 წლის ქალიშვილს ტანყენარობა უნდა?! ყველაგანკინობიც, ტელევიზორშიც სულ გამხდარ გოგონებს აჩვენებენ, ჰოდა მათმა აგნესამ რაღა დააშავა?

მაგრამ როცა სულ მალე გოგონამ საუზმეც აიკრძალა, დედა და მამა შეფიქრიანდნენ, მაგრამ აგნესა ამშვიდებდა, სკოლაში გოგონებთან ერთად ესაუხმობ ხოლმე, ასე უფრო მგზავისებაო. შედეგად ერთ თვეში აგნესამ 12 კილო დაიკლო.

გამოხდა ხანი და აგნესამ ოჯახთან ერთად სადილობაზეც უარი თქვა და საბოლოოდ დაემსგავსა ჩინჩხარს. ნაცნობები გაოცებულნი უყურებდნენ, მასწავლებლები რიგ-რიგობით ეკითხებოდნენ, რა გჭირს, ავად ხომ არა ხარო? თვითონ აგნესა კი ძალიან კმაყოფილი იყო საკუთარი თავით, ახლა სარკეშიც სიამოვნებით იყურებოდა. ამასობაში ლამის ჩონჩხად ქცეულ გოგონას ფსიქიკაში გადახრები დაეწყო. იგი სულ უფრო ხშირად იკეტებოდა თავის ოთახში, რომლის კედლები ახლა საყვარელი როკ-მუსიკოსების პორტრეტებით კი არ იყო აჭრელებული, არამედ ამა თუ იმ პროდუქტის კოლორიულობის მონაცემებიანი მოსაწყენი ცხრილებით იყო „დამშვენებული“, მაგიდანა და თაროებზე კი გახდომის რეცეპტებითა და რჩევებით სახსე ბროშურები იყო დახვავებული. დამე რომ გაგვეღვიძებინათ და გვეკითხათ, აგნესა სხაპასხუპით ვიპასუხებდათ, რომ კიტრი 17 კალორიას შეიცავს, პომიდორი კი 26.

გოგონა თავს კარგად და მშვიდად მხოლოდ მაშინ გრძობდა, როცა თავის ოთახში ჩაიკეტებოდა. კომპიუტერს ჩართავდა და ინტერნეტში თავის მსგავსთა საიტებს პოულობდა. მისდა გასახარად, ასეთები მრავლად იყვნენ, მათ საიტებზე, მათი კერპების, ანუ იმათი გამოსახულებები იყო, ვინც შიმშილით შეგნებულად მივიდა

სიკვდილის პირამდე. აგნესა სიამოვნებით უყურებდა მომღერალ კარპენ კარპენტერის, სამანტას და მიხაელის, მაშინ როცა ნორმალურ ადამიანს ამ კანგადარული ჩონჩხების დანახვაც კი ზარალია. მაგრამ გახდომის იდეით შეპყრობილი სხვათა აღმაცნობისთვის ვერ გრძნობენ, ის კი არა, მათ, მიანაით, რომ ძალზე მოხდენილები და არისტოკრატიულები არიან.

ნახევარი წლის შემდეგ, როცა თავად ვერაფერი გააწყვეს, აგნესას მშობლებმა შვილი ვარშავის სამეცნიერო ცენტრში მიიყვანეს. სწორედ რომ დროზე გადადგეს მათ ეს ნაბიჯი, გოგონას შეეკლა კიდევ შეიძლებოდა და ანორექსიასთან ბრძოლის სპეციალისტებმა გადაარჩინეს აგნესა, იგი ერთ წელიწადში გამოჯანმრთელდა და ინტერნეტში მისი საიტი დაიხურა.

აგნესას გზას ადგა 17 წლის ედიტაც, რომელიც იმდენად გაიტაცა დიეტომანია, რომ დღეში ერთი ცალი ბოლოც კმაყოფილდებოდა, ხოლო თუ თავს ვერ შეეკავებდა, ერთ პომიდორსაც შეჭამდა და აწონისას ნახავდა, რომ ასი გრამი მოემატებინა, მიიღო სამი დღე შიმშილობდა ხოლმე. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ერთ წელიწადში ედიტამ, რომელიც 50 კილოს იწონიდა, 26 კილო დაიკლო. ხომ წარმოგიდგენიათ – 17 წლის ქალიშვილი, რომელიც 26 კილოს იწონის, მშობლები, კინაღამ გადა-

ირიგნენ. ედიტა ზოგჯერ იბრალებდა დედას და მამას და მათ დასანახად ცოტ-ცოტას ჭამდა, მაგრამ ხუთ წუთში საპირფარეოში გაბრუნდა და კუჭს იცარიელებდა. ოდესღაც ნორმალური, სავსებით ჯანსაღი გოგონა მალე გიჟს დაემსგავსა – გაიხდოდა ტანზე და საათობით ათვალთვრებდა სარკეში ჩონჩხად ქცეულ საკუთარ დისტროფიულ სხეულს და საგულდაგულოდ ეძებდა „ზედმეტ წონას“. განმარტოვდებოდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ რამდენ კალორიას შეიცავს ვაშლი თუ ფუნთუშა, და რა საზიზღრობაა ამ საწამლაის მიღება. ედიტამ გაჭირვებით დაამთავრა სკოლა, მეგობრებიც შემოიფანტნენ, თანაკლასელები გაუბრუნდნენ, თვითონ კი თავი მზეთუნახავი ეგონა.

სასიკვდილო სნებაშეყრილი ქალიშვილი საავადმყოფოში რომ მიიყვანეს, გამოციდილა ექთნებმა სისხლის ანალიზი ვერა და ვერ აუღეს, – უბრალოდ ვენა ვერ უშპოვნეს. ედიტას ჯერ თმა დასცივდა, მერე ყელზე უცნაური პარკი – ჩიყვი გაუჩნდა, ოსთეოპოროზი დაეწყო.

მოდას ბრძად აყლილი გოგონები, ასე რომ ცდილობენ საკუთარი ფორმების შემცირებას, ვერც კი ზედებიან, რა საშიშია მათი ჯანმრთელობისთვის, მათი ფსიქიკისთვის რადიკალური დიეტა, საჭმლის აკრძალვა. ეს ნარკოტიკებითაა, ისე ჩავითრევს, ვერც კი შეამჩნევ, მერე კი... გარკვეულ ზღვრამდე მისულებს კი უნდებათ ხოლმე ლუკმა პურის გადაყლაპვა, მაგრამ ტვინში ვიღაც მყაცრი და უმოწყალო ბრძანებას იძლევა: „არ გაბელო ჭამა, არ გაბელო!“ და ბრძანებას წინ ვეღარ აღუდგები.

გახდომის საშუალებებით მოვაჭრე ურცხვი საქმოსნები და მკვირალა რეკლამა ურცხვად არწმუნებენ გულბურკვილო, ჩერჩეტ გოგონებს, რომ ერთ თვეში ათი კილოგრამის დაკლება ძალიან ადვილია და არც საშიანოა. მაგრამ ეს სასტიკი ტყუილია.

ასე რომ, გოგონებო, დაუფიქრებლად, ანგარიშშიუცემლად, სპეციალისტთა კონსულტაციების გარეშე ნუ აპყვებით საღლაც ამოცითხულ რჩევებს. ზომიერად ჭამეთ, მეტი იმოდრავეთ, იარეთ ფეხით, ივარჯიშეთ და გვერწმუნეთ, არანაირი დიეტა არ დაგჭირდებათ.



# რისიკები გოგონებს

# ყველა ყველი და წრეწრეწა წრეწ


## ფლაპარი

კატა კატოს ძალიან უყვარდა ნიგნე-ბის კითხვა; გადმოიღებდა თაროდან ნიგნს, სავარძელში მოიკალათებდა და კითხულობდა. თითქმის ყველა ნიგნი ნაიკითხა, რაც სახლში იყო; განსაკუთრებით ზღაპრები მოსწონდა, ერთხელაც ცხვირი ნიგნში რომ ჰქონდა ჩარგული, ტასიკო დეიდამ შემოაკითხა. მუხლებზე დაისვა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— რომ იცოდე, ჩემო კატო, რა საფიქრალი გამიჩნდა. ჩემი ინსტიტუტის ბიბლიოთეკას თავი შემოეჩვია. ლამის მთელი ნიგნები გაგვიიხროს. არ ვიცი რა

კატომ, — ცხადია, ეს იმ თავხედის ოინე-ბია. რა დღე უნდა ვაყარო! ერთი თათე-ბში მოვიგდო და მერე მე ვიცი!

კატო რომ კბილებსა და კლანჭებს ილესავდა, ვნახოთ და არ გამოყო წრეწრეწა წრეწ სოროდან თავი! ერთი კი მიიხედ-მოიხედა და პირდაპირ ზღაპრე-ბის თაროსკენ გაეცუნცულა უტიფრად. ის იყო აბობლებაც დააპირა, რომ კატა კატო დაატყდა რისხვად. მოულოდნე-ლობისაგან კინალამ გული გაუსკდა. შე-შინებული აწრინდა — ვაიმე, დედა, მიშველეო, კატომ მარწუხები მოადუნა



ქნა... — როგორ ბედავს... იცი რა, დეიდა ტასო, მოდი, წამიყვანე თქვენს ბიბლიოთეკაში და მე მოვუვლი იმ აბეზარს!

გახარა დეიდა ტასომ. შეაქო კატო, მე სულ არ მომეჩრებია და შენ რა კარგად მოიგონეო; ჩაისვა კატო კალათში, ზევიდან თბილი შალი გადააფარა და ისე წამიყვანა ბიბლიოთეკაში.

რომ მივიდნენ, ნიგნთსაცავში შეუშვა. მიიხედ-მოიხედა კატა კატომ და თვალები გაუბრწყინდა, ეს რამდენი ნიგნი ყოფილაო. მერე გაახსენდა, რისთვისაც მოიყვანეს აქ და დინჯად შეუდგა იქაურობის დაზვერვას; საგულდაგულოდ დაათვალიერა ყველა კუთხე-კუნჭული და ძველი, ჭიხისაგან დახრული კარადის უკან აღმოაჩინა იმ აბეზარი თავგის სორო.



და წრეწ სული მოითქვა — რა გინდა ჩემგან, რა დაგიშავე? სახელგანთქმულ მონადირეს ჩემისთანა უზადრუკი და უწყინარი თავგის მონადირეა ნამდვილად არ გეკადრება!

წრეწ თავხედობამ გააცოფა კატო. — შენა ხარ უწყინარი?! უწყინარი კი არა, ქვეყნის ამომგდები ყოფილხარ! რა არის ეს?! — შეჰყვირა კატომ და, წრეწ „ჩექმებიან კატაში“ ჩაარგვევინა ცხვირი. საწყალს ფერიფური წაუვიდა, მიხვდა, რომ ცუდად იყო მისი საქმე.

— ეს რა არის — მეთქი?! გაუმეორა კატომ.

— ჰო... რა ვიცი... — აწრიალდა წრეწ, მერე უცბად გონება გაუნათდა. — დიდო ქალბატონო კატო, — შემპარავი ხმით დაუნყო მოქონვა კატას.

უგდო კატომ ყური, უგდო და გადაიფიქრა წრეწ შექმა. შეეცოდა, მაგრამ ვერც ასე დაუსჯელს გაუმეებრდა და აღარ იცოდა რა ექნა. ისევ წრეწ იყოჩაღა.

— იცი, რა ბარი-ბარში რომ ვიყიოთ, მოდი ასე შევთანხმდეთ: მე ცალკე გადავანყობ ყველა ნიგნს, სადაც კი ჩემიანები, თავგები ხატია და შენც ჩემსავით იყარე ჯავრი, თუ გინდა...

კატომ აღარ დაამთვრებინა, სიცილი აუტყდა.

— ნადი, წრეწ, ნადი! იცოდე, ისევ შენმა ჭკუამ გიშველა! ერთ რამეს კი უნდა შემპირდე, ნიგნების გაფუჭებას უნდა შეეშვა!

— არის! — გაიჯგვიმა წრეწ და უკან-უკან სვლით სოროსკენ გაიძურნა.

აჰა, ძალიან კარგი... ახლა მთავარია, მოხერხებული ადგილი შევარჩიო და იქ ჩავუსაფრდე... ეს ყმაწვილი შებინდებამდე აქ გამომსვლელი არ არისო, — იფიქრა, თაროზე აბობლდა და ნიგნების თვალიერებას შეუდგა.

არჩევანი „ჩექმებიან კატაზე“ შეაჩერა ახტა ფანჯარაზე, გემრიელად მოიკალათა, ნიგნი გადაფურცლა და... ელდა ეცა, პირველივე გვერდი ამოჭმული იყო. გადაშალა მეორე გვერდი, იგივე, მეოთხე, მეხუთე... კინალამ გადაიარა, ასეთი არაფერი ენახა: ყველა გვერდზე მაინცდამაინც კატის სურათი იყო ამოჭმული.

ახლა „ცხოველთა ენციკლოპედია“ გადაფურცლა. კატის კვალიც კი აღარხად იყო დარჩენილი. ყველა ერთნაირად შეეჭამა თავგს;


— ოოჰ! — კბილები გააკრაჭუნა კატა

ბევრნი ვართ?  
 ღმერთმა გვამრავლოს,  
 დიდი გვჭირდება წინა,  
 ხუთ ძმას:  
 ტარიელს,  
 ავთანდილს,  
 ფრიდონს,  
 როსტევეანს,  
 დილარს როგორც მამიკო  
 გვინესემს —  
 ქვედა სართულში გვიძინავს!  
 ზედა სართულში:  
 თინათინს,  
 თამარს,  
 ასმათს და ნესტანს —  
 თავი რის კომპში ჰგონიათ,  
 რა ესიზმრებათ ნეტავ?  
 ვინ მოაშორებს დედის  
 მკერდს  
 ქეთინო ქარაქვეტას!  
 ღია აივნის ზოლოში  
 ძილში სრიალემს პაპა,  
 გვგონია იყოს უსუსპი —  
 ზღვას ერთ ყლოუპზე  
 რომ სრუპავს,  
 ამირან დარეჯანის ძის  
 ბებო გვიყვება ზღაპარს!

1935 წელი.

## მსოფლიოში პირველი საბავშვო რაინიგზა

თბილისის სახელმწიფო მოხარდ მაყურებელთა რუსულ თეატრთან არსებულ ნორჩ ტექნიკოსთა წრეში საბავშვო რაინიგზის აგების იდეა დაიბადა. მსოფლიოში პირველ საბავშვო რაინიგზაზე მეოცნებე ბავშვებმა იდეის განსახორციელებლად თანატოლებს უხმეს, სულ მალე მოხალისეთა რიცხვმა სამასს გადააჭარბა. როგორც კი ყველა საორგანიზაციო საკითხი მოგვარდა, მუშტაიდის ბაღში პირველი ბარი დაჭრეს. სისხამ დილით მოდიოდნენ ბავშვები, წაიშუშავებდნენ და სკოლაში გარბოდნენ, ბევრი კი გაკვეთილების შემდეგ მოდიოდა მეორე ცვლაში სამუშაოდ. პატარების ენთუზიაზმის შემხედვარე უფროსები ყველანაირად უწყობდნენ მათ ხელს. რაინიგზელებმა მუშტაიდის ტერიტორიაზე მდებარე სამი კლუბის შენობები გადასცეს,



ორთქლმავალსარემონტო ქარხანამ დაზგები და ხელსაწყოები მიაშველა, „დიდი რაინიგზის“ მუშები გოგო-ბიჭებს რაინიგზელის სპეციალობათა პრაქტიკულ ათვისებაში დაეხმარნენ. პირველ სადგურს „პიონერი“ უწოდეს – ეს სიტყვა ხომ პირველს ნიშნავს, ეს რაინიგზა კი მსოფლიოში პირველი საბავშვო რაინიგზა იქნებოდა, დანარჩენ ორ სადგურს „სიხარული“ და „მზიური“ დაარქვეს. ამასობაში ვიდაცამ გაიხსენა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ირანის საზღვარზე მიტოვებულ ვიწროლიანდაგიან რაინიგზაზე ხელუხლებლად იდგა ორთქლმავალი და ვაგონები. სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო მატარებლის თბილისში ჩამოტანისთვის დიდი ჯაფა დაადგათ, მაგრამ საერთო ენთუზიაზმმა და თანადგომამ ეს სიძნელეც დააძლევინა. მოსწავლეებმა საკუთარი ხელით შეაკეთეს და განაახლეს ორთქლმავალიც და ვაგონებიც. მერე კი ნანატრი დღეც დადგა. იდეის განხორციელებას სულ რაღაც 7-8 თვე დასჭირდა

1935 წლის 24 ივნისს საქართველოს დედაქალაქში, მუშტაიდის ბაღში სახეიმოდ გაიხსნა მსოფლიოში პირველი საბავშვო რაინიგზა. მთელი ქალაქი დაიდრა უჩვეულო სანახაობაზე დასასწრებად. რაინიგზელის ფორმაში გამოწყობილმა გოგობიჭებმა თავ-თავიანთი პოსტები დაიკავეს, მორიგეპ ზარს ჩამოჰკრა, ორთქლმავალმა შეჰკვივლა და მხიარული მატარებელი დაიდრა. პიონერ-მოსწავლეები კარგა ხანს ემსახურებოდნენ საკუთარი ხელით აგებულ რაინიგზას, ზოგი მემანქანე იყო, ზოგი გამყოლი, ზოგი – კონტროლიორი. თაობა თაობას ცვლიდა, გოგო-ბიჭები სიამოვნებით ემსახურებოდნენ საბავშვო რაინიგზას, რომელსაც ყოველთვის უამრავი მგზავრი ჰყავდა. მერე კი დროთა განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა...

1956 წელი

15 წლის ჩემპიონი



15 წლის ზუგდიდელი მოსწავლე ნონა გაფრინდაშვილი ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონი გახდა და შეიძლება ითქვას, საჭადრაკო სამყაროში ნამდვილი ფურორი მოახდინა. ეს გამარჯვება პირველი იყო ნონას მომავალ მიღწევათა გრძელ ნუსხაში. 1958 წელს 17 წლის ქართველ მო-

ჭადრაკეს ქალთა შორის სსრკ-ს სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭეს, 1971-ში იგი უკვე ვაჟთა შორის სპორტის ოსტატია, მერე იგი ხდება სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო ოსტატი ქალთა და ვაჟთა შორის, საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა შორის...

დღეს უკვე მთელ მსოფლიოში ჭადრაკის ლეგენდად ქცეული ნონა გაფრინდაშვილი საქართველოს ოთხგზის (1958, 1959, 1960, 1961 წწ.) საბჭოთა კავშირის ორგზის (1964, 1973), მსოფლიოს ხუთგზის (1962, 1965, 1969, 1972, 1975წწ.) ჩემპიონი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის ორგზის (1969, 1972) მფლობელი, ქალთა II-III-IV-V-VI საჭადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონი და ქალთა საერთაშორისო ტურნირების 15 გზის გამარჯვებულია.





ამერიკელებს ძალიან მოსწონებიათ მარიკა თხელიძის მიერ შესრულებული სიმღერა „მოცარტი“ და მათ MTV-ს ამ სიმღერის კლიპი შეუკვეთია. კლიპისათვის სიმღერას მოცარტის მე-12 სონატის მიხედვით კომპოზიტორი რუსუდან ბახტაძე დაწერს, მარიკა კი მას ერთდროულად ექვს ენაზე – ქართულად, ებრაულად, გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად და იტალიურად შეასრულებს.

ქართული ცეკვების სახელგანთქმული ანსამბლის „ერიციონის“ ხელმძღვანელს ცეკვა საერთოდ არ ცოდნია, თუმცა ამა თუ იმ ცეკვის შესრულების დროს დაშვებულ უმცირეს შეცდომასაც კი პირველი ამჩნევს.

კომპოზიტორ ნოდარ ნიკოლაიშვილის ყველასათვის საფგარელი სიმღერა „ვერ აგისრულე, რასაც დაგპირდი“, რომელსაც ასე მშვენივრად ასრულებენ ლელა წურწუშია და ზურაბ დოიჯაშვილი, ამიერიდან რუსულადაც აჟღერდება. ეს სიმღერა ძალიან მოსწონებია რუსული ესტრადის დედოფალს ალა პუგაჩოვას, იგი მას ნიკოლაი კარაჩენცოვთან ერთად შეასრულებს.

ახალგაზრდა ქართველ დიზაინერს, გიორგი ფანცულაიას, რომელიც ესკიზებს მუსიკისა და სიზმრების დახმარებით ქმნის, ძალიან არ მოსწონს დათო ხუჯაძის და თამუნა ამონაშვილის ჩაცმულობა. სამაგიეროდ, მიაჩნია, რომ კახა ცისკარიძე და ქრისტინე იმედაძე გემოვნებით იცვამენ.

ნანული სარაჯიშვილს, რომელიც მთავარი გმირის მანანას როლს თამაშობდა ამავე სახელწოდების ფილმში და მის სიმღერასაც თვითონ ასრულებდა, ძალიან მოსწონებია მანანას სიმღერაზე შექმნილი კლიპი, რომელშიც 4 წლის სოფო კაპანაძე შესანიშნავად მღერის: „მიფვარს ცეკვა-თამაში“.

ასე პოპულარული „პა-სეანსის“ მშვენიება ციცი კაპანაძე – ცუცა, მთელი მონდობით ვარჯიშობს კარატეს ერთ-ერთ სახეობაში ტაიბუში და წარმატებებსაც აღწევს.

# სიცილის გაკვეთილი



— დედიკო, მუცელი მტკივა, — შესჩივლა ექვსი წლის მარიმ დედას.

— ეს იმიტომ, რომ არ გისაუზმია და კუჭი ცარიელი გაქვს. შიგ რომ რამე გკონდეს, თავს გაცილებით უკეთ იგრძნობ — მიუგო დედამ.

იმ საღამოს მარის დედას მეგობარი ქალი ესტუმრა.

— რა ვქნა, აღარ ვიცი, დილიდან საშინლად მტკივა თავი — თქვა სტუმარმა.

— ეს იმიტომ, რომ თავი ცარიელი გაქვთ, შიგ რომ რამე გკონდეთ თავს გაცილებით უკეთ იგრძნობდით — დაამშვიდა სტუმარი პატარა მარიმ.

☺ ☺ ☺

— ჩემი ვილი ყველაზე კარგი მოსწავლეა მთელ კლასში, — თქვა ქალბატონმა მიულერმა.

— შეუძლებელია! ეს მარტო თქვენი აზრია?

— მარტო ჩემი რატომ, ვილიმაც მითხრა!

☺ ☺ ☺

პირველკლასელი: — დედიკო, რატომ უთხარი ჩემს მასწავლებელს, რომ დღეს ხელ-პირი არ დამიბანია?

დედა: — რას ამბობ, მე არაფერი მითქვამს!

პირველკლასელი: — აბა მამ როგორ მიხვდა?

☺ ☺ ☺

— ჩვენ ახლა კარნახს დავნერთ და ვინც სამ შეცდომაზე მეტს დაუშვებს, ორიანს მიიღებს, — გამოუცხადა მასწავლებელმა ბავშვებს.

ყველა წერას შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ პაულმა წერა შეწყვიტა და ფანჯარაში ყურება დაიწყო.

— რატომ მიატოვე წერა, პაულ? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— მე უკვე ოთხი შეცდომა დავუშვი, მასწავლებლო.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: — რომელ მცენარეებს ეწოდება კულტურული?

მოსწავლე: — ისეთებს, რომლებიც კულტურული ცხოვრებას ეწევიან.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: — ავიღოთ ზმნა „ნასვლა“ და ვაუღლოთ ანჰემო დროში.

მოსწავლე (ზღაზღანით): — მე მივდივარ... შენ მიდიხარ...

მასწავლებელი: — ცოტა უფრო ხწრაფად!

მოსწავლე: — ის მირბის, ჩვენ მი-



— მაშინ, ნახევარი დღით მოგიწევს გაშვება.

☺ ☺ ☺

— მამ, ასე, — უხსნის ფიზიკულტურის მასწავლებელი ბავშვებს, დასხედით და წარმოიდგინეთ, თითქოს ნავში ზიხართ და ნიჩბებს უსვამთ: ერთი — ორი, ერთი — ორი!..

ყველა იწყებს ვარჯიშს, მხოლოდ ერთი ზის მშვიდად.

— ერვინ, რას გაჩერებულხარ, რატომ არ ვარჯიშობ?

— მე მოტორიან ნავში ვზივარ, მასწავლებლო.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი დაფაზე ათნილადს წერს.

— ახლა კი, — ეუბნება იგი მოსწავლეებს, — მე ამ რიცხვს ოთხზე გავამრავლებ. — მასწავლებელი იღებს დაფის სანმენდ ბალიშს და ერთ-ერთი რიცხვის წინ მძიმებს შლის.

— სად გადავიდა მძიმე? — კითხვით მიმართა მან კლასს.

— სანმენდ ბალიშზე, მასწავლებლო, — წამოიძახა მაქსმა.

☺ ☺ ☺

მასწავლებელმა კლასს საშინაო დავალება მისცა თემაზე: „რა არის სიზარმაცე?“ მეორე დღეს დავალების შესრულებას რომ ამოწმებდა, ფრიცის რეველიც გადაშალა — პირველი გვერდი სუფთაა, არაფერი წერია, მეორეც სუფთაა, მესამეზე კი წერია: „აი ეს არის სიზარმაცე“.

☺ ☺ ☺

— ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა გამოასწორო შენი ორიანები?

— რა ვქნა, მამი, მასწავლებლები უფრონაღს სამასწავლებლოში ინახავენ ხოლმე.

☺ ☺ ☺

— ეს ახალი კონსტრუქციის ლუმენია და მას იმის ნახევარი შეშა სჭირდება, რასაც ჩვენი ძველი ლუმენი სწავდა, — თქვა მამამ.

— მაშინ ერთი ცალი ასეთი ლუმენი ვიყიდოთ და შეშა სულ აღარ დაგვჭირდება, — წამოაყენა წინადადება თომასმა.

☺ ☺ ☺

პატარა ჰანსი ძილის წინ ფეხებს იბანს, უცებ დედას ეკითხება:

— დედა, გიხარია, რომ ცხენი არა ვარ?

— კი, რა თქმა უნდა.

— მეც მიხარია, მაშინ ხომ ოთხი ფეხის დაბანა მომიწევდა.

ვრბივართ, თქვენ მირბიხართ.

☺ ☺ ☺

— როგორ არა გრცხვენია, რომ 26 მოსწავლეში უკანასკნელი ხარ?!

— უარესიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ადრე ჩვენს კლასში 32 მოსწავლე იყო.

☺ ☺ ☺

— ფრანცმა სილა გამარტყა, — შესჩივლა კარდიმ დედას.

— რატომ ტყუი, ხომ არ გინდა კიდევ მოგხედეს?! — შეუბღვირა უმცროს ძმას ფრანცმა.

☺ ☺ ☺

დედა: — რამდენჯერ უნდა გითხრა, ასეთ ცუდ სიტყვებს ნუ ხმარობ!

შვილი: — კი მაგრამ, დედა ამ სიტყვებს შექსპირი ხმარობს.

დედა: — ჰოდა, დღეიდან მაგ შექსპირთან თამაშს გიკრძალავ.

☺ ☺ ☺

დედამ შვილს სენტიმენტალური მოთხრობა წაუკითხა, მერე კი ჰკითხა:

— მითხარი, ჯონ, შენ როგორ მოიქცეოდი, აჩუქებდი უმამოდ დარჩენილ პატარა ბიჭს შენს საყვარელ ძალღს?

— არა... ვერ ვაჩუქებდი... არა სჯობია, იმ ბიჭს მამაჩემი ვაჩუქოთ?

☺ ☺ ☺

— დედა, შენ დამპირდი, რომ თუ „ოთხიანს“ მივიღებდი, მთელი დღით გამიშვებდი ეზოში სათამაშოდ.

— მართალია, დაგპირდი.

# იწილთ-მიწილთ

1	ნ								გემების სადგომი;
2	ა								მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი;
3	კ								ინდიელთა ნავი;
4	ა								შტატი აშშ-ში;
5	დ								მდინარე მოლდავეთში;
6	უ								ერთი და იმავე, ორი ან რამდენიმე ნოტის ერთდროულად აუღერება;
7	ლ								ღვლით დაფარული ადგილი;
8	ო								სახელისა და გვარის წინა ასოები;
9	გ								მაიმუნის ჯიში;
10	ო								რაიმე ნაწარმოების სცენაზე გათამაშება;
11	ლ								მდინარე ქართლში;
12	ო								მსუბუქი მანქანის მარკა;
13	ც								მკ. რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და ორატორი;
14	ა								გაუმტკივანება;
15	ვ								ქართული საკალათბურთო გუნდი;
16	თ								რაიონული ცენტრი საქართველოში;
17	ა								„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი;
18	ხ								სტიქია;
19	ა								ხელსაწყოთა ერთობლიობა;
20	ლ								ფულისა და ნივთების გათამაშება;
21	ო								ელევსინური ღვთაება;
22	ს								სწორკუთხად მოხრილი ბოლოების მქონე ჯვარი;
23	ა								ტალღების მიერ ზღვის ნაპირის ჩამორეცხვა;
24	ს								სათამაშო წვრილი, მსუბუქი რგოლი;
25	წ								სოფ. ამბროლაურის რ-ში;
26	ა								ქვეწარმავლის სახეობა;
27	ვ								ქსოვილის სახეობა;
28	ლ								ქართული მხატვრული ფილმი;
29	ო								ქვეყრიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი;
30	წ								ქიმიური ელემენტი;
31	ლ								პარკოსანი მცენარე;
32	ო								ერთგვარი კანფეტი;
33	ს								ყვაკილი;
34	დ								მთის მრავალწლოვანი ბალახი;
35	ა								მათემატიკის დარგი;
36	წ								მრავალწლოვანი, მაგარმერქნიანი მცენარე, ისხამს მაგარნაკჭუჭიან ნაყოფს;
37	ყ								ღაბაბი ანუ...;
38	ე								სომხეთის დედაქალაქი;
39	ბ								საეკლესიო კომპლექსი თბილისთან ახლოს;
40	ა								წუმწუმა ანუ...;
41	ს								სპილოს ნაშეიერი;

ფეხი - ნაცხისფეხი ან ზღვის ტაღისფეხი. მფახველი ჰდანეტა - მეჩხეი.

ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულები მშვიდები, კეთილგონიერები, განონასწოხებულები, ჰიპოტიკალები, ეთოპელები და ინტელექტუალები ახიან. ამ დადებით თვისებებთან ერთად მათ ცივი, ახამოციური ბუნება აქვთ, მეგობრულ უთიუთობებს ძნელად, შეჩვევით ამყაყებენ, მაგამ აჩრედ მეგობახს ბოლომდე ეთოგულებენ. აჩ უყვართ ხალხმხავალი ხმაუხანი შეჩებები, უყვართ ინტელექტუალური თამაშები, სპოხტი. მოზახდ ასახში „ქალწულებს“ უჩნდებათ ინტელექტი მედიცინის, ჯიმიის, სამეცნიერო ლიტერატურის მიმართ. სწავლაში ჰმობღემები იშვიათად ექმნებათ, უყვართ, ხოცა ამოცანა თუ მიზანი უმჩიუტელი და ნათელია. სასუხველია თუ ბავშვობაში ისინი მუსიკას ან ხელოვნების სხვა დარგს გაყვებიან. ეს მათ ნეხვედ დაძაბულობას მოუხსნის. „ქალწულებს“ ბავშვობაში აუცილებლად სჭიხდებათ ღლის ხეიმი, დაჯიხვებით შეჩრეული ღიუბა, მუსიკა, ხელოვნება.

ღხიღთა ჰოხოსკოპით, 24 აგვისტოდან 2 სექტემბამდე დაბადებულთა მფახველი ხე ფიჭვია, 3-დან 12 სექტემბეში დაბადებულებს კიხიფი მფახველობს, 13-დან 22 სექტემბეში დაბადებულებს ჟი -ცა-ცხვი.

3-11 სექტემბეხს დაბადებულთა ყვავილია მიხაჯი. 12-22 სექტემბეხს დაბადებულთა - ასტია.

კროსვორდის სწორად შევსების შემთხვევაში მუქ უჯრეტში ჩაწერილმა ასოებმა უნდა შეადგინოს შთა რუსთაველის ცნობილი აფორიზმი

გამოჭერთ და იმარეთ წიგნის სანიშნად





სტიქია - ჰე-  
ჯი. სიმბოლო -  
სასწორი. ფეხი -  
მოღუჯო-მოიი-  
სფიო, მთაჩველი ჰდანეტა  
- ვენჯა.

ამ ნიშნის ქვეშ დაბა-  
დებულებს გამოაჩვენოთ გუ-  
ლილობა, მომნიბველიობა,  
ჯახვი გემოვნება, შემწყნა-  
ხებლობა. მათთან უხითი-  
უხითობა ადვილია, ამასთან  
უხითად ისინი გაუბედავები  
აჩიან, აჩრევანის წინაშე  
ხომ აღმოჩნდებიან, იბნე-  
ვიან და მოქმედების უნახს  
ჯახგავენ. ვეი იტანენ მა-  
ხტობას, წვილიმანი ჰამის  
გამოც კი ფოხიაქობენ.  
სშიხად უცვლებათ გუნება-  
განწყობილება.

სასწორი ბავშვები ჯა-  
ხგად ითვიებენ ცოდნას,  
მაგჩამ მადე ილღებთან და  
ამიკომ სშიხად თავს ანე-  
ბებენ დანყებულ საქმეს. ახ  
უყვართ სპოხტი, იფიქრით  
ამაზე და თუ სპოხტზე ახა,  
ცუჯავზე მაინც იჩუთი, ჰათო  
იომძიათო. სასწორი დღე  
ინტეხებს იჩენს სელოვნე-  
ბისადმი, უეხძოდ ხატვისა  
და მუხიჯისადმი.

გოგონებს უყვართ და-  
მახად და კოხტად ჩაცმა. ბი-  
ჭების წანიღს ავიაცია აი-  
ნტეხებს. სასწორები წი-  
ჭიეხები, მაგჩამ ზახმაცები  
აჩიან.

გელთა სასწორის ბეჭი  
მეგობახი ჰეჯავს, მას ბა-  
ვეშობაში სჭიხდება სი-  
წყნახე და სიმშვიდე ოჯა-  
სში, უეხადლება და სითბო,  
სელოვნება, დამაზი ინტე-  
ხიეხი. სასწორებო, ისნა-  
ველთ დანყებულ საქმის ბო-  
ლომდე მიყვანა, აჩრევანის  
გაეუთება და გადანყევი-  
ლების მიღება.

24 სექტემბრიდან 3  
ოქტომბრამდე დაბადებული  
სასწორების მთაჩველი სეა  
თხილი, 4 ოქტომბრიდან 10  
ოქტომბრამდე დაბადებულე-  
ბის - ციხველი, 11 სექტე-  
მბრიდან 20 ოქტომბრამდე  
დაბადებულეების - ნეეე-  
ჩჩხალი. 23 სექტემბრის - 3  
ოქტომბრის დაბადებულთა  
ყვავილია მანანა. 4-13  
ოქტომბრის დაბადებულთა  
- ჯამელია, 14-23 ოქტო-  
მბრის დაბადებულთა - ია-  
სამანი.

# ჩვენის ვენისაჲ



თაშუნა გომორიგვილი. ვირაფე



მირიან ჩიქოვანი. მოცეკვავე კაცუნები



გიორგი მაისურაძე. ცხენი



ჯემალ გონგლაძე. ჯადოქარი



სოფო მაისურაძე. დელფინი



რევაზ ჩიქოვანი. ზარი

მასალა იხ. ჟურნალის  
მე-11 გვერდზე

